| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა    | 83,8                   | 80                                    |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი                       | 84,9                   | 80                                    |
| 4. ქალაქი თბილისი  | 11,3                   | 16                                    |
| 5. ქალაქი ქუთაისი  | 10,9                   | 30                                    |
| 6. ქალაქი ფოთი   | 41,9                   | 65                                    |
| 7. ქალაქი ჭიათურა  | 29,9                   | 30                                    |
| 8. ქალაქი რუსთავი  | 26,4                   | 20                                    |
| 9. ქალაქი გორი   | 80,7                   | 55                                    |
| 10. ქალაქი ტყიბული                                       | 39,3                   | 35                                    |
| 11. ქალაქი ზუგდიდი                                       | 8,4                    | 30                                    |
| 12. ქალაქი წყალტუბო                                      | 20,2                   | 10                                    |
| 13. ქალაქი მარნეული                                      | 25,8                   | 15                                    |
| 14. აბაშის რაიონი  | 84,8                   | 25                                    |
| 15. ადიგენის რაიონი                                      | 68,3                   | 95                                    |
| 16. ამბროლაურის რაიონი                                   | 80,9                   | 70                                    |
| 17. ასპინძის რაიონი                                      | 80,8                   | 100                                   |
| 18. ახალქალაქის რაიონი                                   | 80,3                   | 30                                    |
| 19. ახალციხის რაიონი                                     | 72,5                   | 20                                    |
| 20. ახმეტის რაიონი                                       | 83,6                   | 70                                    |
| 21. ბოგდანოვიკის რაიონი                                  | 82,2                   | 45                                    |
| 22. ბოლნისის რაიონი                                      | 53,1                   | 35                                    |
| 23. ბორჯომის რაიონი                                      | 3,8                    | 27                                    |

|     |                      |         | ანარიცხების პროცენტები        |  |
|-----|----------------------|---------|-------------------------------|--|
|     |                      |         | ბრუნვის გაცე-<br>მის მიხედვით | მოსახლეობის<br>საშუალო<br>გადასახადთან |
| 24. | გარდაბნის რაიონი     | . . . . | 50,9                          | 25                                     |
| 25. | მეგვიჭორის რაიონი    | . . . . | 79,9                          | 65                                     |
| 26. | გორის რაიონი         | . . . . | 8,0                           | 50                                     |
| 27. | გურჯაანის რაიონი     | . . . . | 35,3                          | 20                                     |
| 28. | ღმანისის რაიონი      | . . . . | 67,3                          | 52                                     |
| 29. | ღუშეთის რაიონი       | . . . . | 59,0                          | 40                                     |
| 30. | ვიანის რაიონი        | . . . . | 79,5                          | 35                                     |
| 31. | ზესტაფონის რაიონი    | . . . . | 9,7                           | 20                                     |
| 32. | ზუგდიდის რაიონი      | . . . . | 67,5                          | 75                                     |
| 33. | თეთრი წყაროს რაიონი  | . . . . | 21,0                          | 60                                     |
| 34. | თელავის რაიონი       | . . . . | 37,0                          | 35                                     |
| 35. | თერჯოლის რაიონი      | . . . . | 4,1                           | 40                                     |
| 36. | თიანეთის რაიონი      | . . . . | 40,9                          | 85                                     |
| 37. | კასპის რაიონი        | . . . . | 23,4                          | 30                                     |
| 38. | ლაგოდეხის რაიონი     | . . . . | 46,3                          | 20                                     |
| 39. | ლანჩხუთის რაიონი     | . . . . | 50,0                          | 20                                     |
| 40. | ლენტეხის რაიონი      | . . . . | 83,1                          | 85                                     |
| 41. | მაიაკოვსკის რაიონი   | . . . . | 71,2                          | 35                                     |
| 42. | მარნეულის რაიონი     | . . . . | 78,7                          | 70                                     |
| 43. | მაზარაძის რაიონი     | . . . . | 47,6                          | 15                                     |
| 44. | მესტიის რაიონი       | . . . . | 48,1                          | 80                                     |
| 45. | მცხეთის რაიონი       | . . . . | 50,8                          | 20                                     |
| 46. | ონის რაიონი          | . . . . | 8,9                           | 80                                     |
| 47. | ორჯონიკიძის რაიონი   | . . . . | 16,1                          | 50                                     |
| 48. | საგარეჯოს რაიონი     | . . . . | 4,1                           | 16                                     |
| 49. | სამტრედიის რაიონი    | . . . . | 20,5                          | 30                                     |
| 50. | საჩხერის რაიონი      | . . . . | 35,2                          | 70                                     |
| 51. | სიღნაღის რაიონი      | . . . . | 32,9                          | 40                                     |
| 52. | ქარელის რაიონი       | . . . . | 79,9                          | 25                                     |
| 53. | ყაზბეგის რაიონი      | . . . . | 33,2                          | 100                                    |
| 54. | ყვარლის რაიონი       | . . . . | 70,9                          | 35                                     |
| 55. | ჩოხატაურის რაიონი    | . . . . | 50,6                          | 60                                     |
| 56. | ჩხოროწყუს რაიონი     | . . . . | 21,6                          | 55                                     |
| 57. | ცაგერის რაიონი       | . . . . | 73,7                          | 95                                     |
| 58. | ცხაქვიას რაიონი      | . . . . | 1,2                           | 27                                     |
| 59. | წალენჯიხის რაიონი    | . . . . | 30,7                          | 65                                     |
| 60. | წალკის რაიონი        | . . . . | 43,5                          | 55                                     |
| 61. | წითელი წყაროს რაიონი | . . . . | 70,9                          | 50                                     |
| 62. | წულუკიძის რაიონი     | . . . . | 30,3                          | 50                                     |
| 63. | ხაშურის რაიონი       | . . . . | 1,9                           | 51                                     |
| 64. | ხობის რაიონი         | . . . . | 41,0                          | 25                                     |



**მუხლი 9.** გადაეცეს სოფლის რაიონების ბიუჯეტებს (შემდგომში სახალხო დეპუტატთა სადაბო და სასოფლო საბჭოების ბიუჯეტებში გადასაცემად) საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტში შემოსული ბრუნვის გადასახადის ნაწილი, გამომანგარიშებელი სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო საქონელ-ბრუნვისთან პროცენტობით, შემდეგი ოდენობით:

|                                 |    |
|---------------------------------|----|
| სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 30 |
| ქალაქი კიათურა                  | 44 |
| ქალაქი ტყიბული                  | 30 |
| ქალაქი წყალტუბო                 | 6  |
| აბაშის რაიონი                   | 26 |
| ადიგენის რაიონი                 | 28 |
| ამბროლაურის რაიონი              | 25 |
| ასპინძის რაიონი                 | 35 |
| ახალქალაქის რაიონი              | 13 |
| ახალციხის რაიონი                | 12 |
| ახმეტის რაიონი                  | 9  |
| ზოგდანოვკის რაიონი              | 14 |
| ბოლნისის რაიონი                 | 16 |
| ბორჯომის რაიონი                 | 16 |
| გარდაბნის რაიონი                | 4  |
| გეგეჭკორის რაიონი               | 15 |
| გორის რაიონი                    | 10 |
| გურჯაანის რაიონი                | 5  |
| დმანისის რაიონი                 | 27 |
| ღუშეთის რაიონი                  | 19 |
| ვანის რაიონი                    | 20 |
| ზესტაფონის რაიონი               | 10 |
| ზუგდიდის რაიონი                 | 6  |
| თეთრი წყაროს რაიონი             | 7  |
| თერჯოლის რაიონი                 | 9  |
| თელავის რაიონი                  | 12 |
| თიანეთის რაიონი                 | 31 |
| კასპის რაიონი                   | 8  |
| ლაგოდეხის რაიონი                | 8  |
| ლანჩხუთის რაიონი                | 11 |
| ლენტეხის რაიონი                 | 43 |



|                      |    |
|----------------------|----|
| მაიაკოვსკის რაიონი   | 12 |
| მარნეულის რაიონი     | 7  |
| მახარაძის რაიონი     | 4  |
| მესტიის რაიონი       | 40 |
| მცხეთის რაიონი       | 6  |
| ონის რაიონი          | 26 |
| ორჯონიკიძის რაიონი   | 31 |
| საგარეჯოს რაიონი     | 6  |
| სამტრედიის რაიონი    | 7  |
| საჩხერის რაიონი      | 19 |
| სიღნაღის რაიონი      | 6  |
| ქარელის რაიონი       | 20 |
| ყაზბეგის რაიონი      | 34 |
| ყვარლის რაიონი       | 12 |
| ჩოხატაურის რაიონი    | 15 |
| ჩხოროწყუს რაიონი     | 16 |
| ცაგერის რაიონი       | 28 |
| ცხაქაიას რაიონი      | 16 |
| წალენჯიხის რაიონი    | 13 |
| წალკის რაიონი        | 24 |
| წითელი წყაროს რაიონი | 9  |
| წულუკიძის რაიონი     | 9  |
| ხაშურის რაიონი       | 8  |
| ხობის რაიონი         | 17 |

**მუხლი 10.** დამტკიცდეს ანარიცხები პროცენტობით 1986 წლისათვის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტსა და ადგილობრივ ბიუჯეტებში საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის, ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, კვების მრეწველობის სამინისტროების, საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში შემავალი გაერთიანებებისა და საწარმოების, ხოლო ქალაქ ფოთის ბიუჯეტში სხვა სამინისტროებისა და რესპუბლიკური და ქვემდებარების საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგების თავისუფალი ნაშთიდან და თავისუფალი ამორტიზაციიდან, მოგების ანარიცხებიდან, აგრეთვე რესპუბლიკურ ბიუჯეტში შესატანი ჭარბი საბრუნავი სასხრებიდან „საქართველოს სსრ 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული ოდენობით.

**მუხლი 11.** დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნებში საქართველოს სსრ 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ,

აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დეპუტატებს მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები, და მიიღოს მათ ვამუქმსხიბაინცი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 7 დეკემბერი.

№ 40—XI ს

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 410 საქართველოს სსრ 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში — 3.202.683 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში — 3.126.917 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 75.766 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 7 დეკემბერი.

№ 41—XI ს

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 411 სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეულად შესახვედრად ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა და განიხილა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის აშხ. ზ. შ. მესხიშვილის ინფორმაცია, აღნიშნავს, რომ ასრულებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის, ივლისისა და ოქტომბრის პლენუმების გადაწყვეტილებებს, ქალაქის სახალხო დეპუტატთა საბჭოები პარტიის საქალაქო და რაიონ-



ნული კომიტეტების ხელმძღვანელობით ეწევიან მიზანმიმართულ ორგანიზებულ ტორულ, პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ და კულტურულ-მასობრივ მუშაობებს სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დირსეულად შეხვედრისათვის მშრომელთა ფართო მასების დასარაზმავად.

განიხილეს რა საქალაქო, რაიონული და სადაბო საბჭოების სესიებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შედეგები, სახალხო დემუტატთა საბჭოებმა დაამტკიცეს და თანამიმდევრულად ახორციელებენ სოციალისტური შევიბრების ფართოდ გაშლის ღონისძიებებს დევიზით: „სკკპ XXVII ყრილობას — 27 დამკვრელური დეკადა!“.

საყოველთაო-სახალხო მოძრაობის აჟანგარდში, როგორც ყოველთვის, არიან კომუნისტები, ხალხის რჩეულნი, რომლებიც თავდადებული, მაღალნაყოფიერი შრომის მაგალითს იძლევიან. მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულმა საქალაქო, რაიონული და სადაბო საბჭოების თითქმის ყველა დემუტატმა ვადამდე შეასრულა მეთერთმეტე ხუთწლეულის დავალებანი და ამჟამად მუშაობს 1986 წლის ანგარიშში.

რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელები თავიანთ კრებებზე ერთსულოვნად იწონებენ და მხარს უჭერენ სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტებს. ამ პარტიული დოკუმენტების განხილვა ხელს უწყობს მუშა-მოსამსახურეთა ინიციატივისა და აქტიურობის შემდგომ განვითარებას. ქალაქის შრომითი კოლექტივების დარაზმება 1985 წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლეულის სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულების, მეთორმეტე ხუთწლეულისათვის კეთილსასურველი წანამძღვრების შესაქმნელად ბრძოლაში.

ქალაქის მშრომელებმა დიდი აღფრთოვანებით აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე, რომელსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის საბჭოთა ხალხის დასარაზმავად.

ყრილობისწინა პერიოდში ქალაქის სახალხო დემუტატთა საბჭოები სრულყოფენ მუშაობის სტილსა და მეთოდებს. ცდილობენ შემოქმედებითად მიუღწეონ მათ წინაშე მდგომი პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტას; უფრო სრულად გამოიყენონ სსრ კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების შესახებ კანონებით მინიჭებული უფლებამოსილება, ყოველნაირად უზრუნველყონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსურობა, სამეურნეო მშენებლობაში საბჭოების როლის გაძლიერება, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცება, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის დაჩქარება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება და ასორტიმენტის გაფართოება, მორალური და

მატერიალური სტიმულირების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფი, მუშა-მოსამსახურეთათვის შრომისა და ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა, მომსახურების სფეროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის დონის ამაღლება, ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობისადმი კონტროლის გაძლიერება.

ეკონომიკური და სოციალური განვითარების წარმოების ინტენსიფიკაციის, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების, მეორეული ნედლეულის მაქსიმალური გამოყენების გლობალური საკითხების გადაწყვეტაში, მომჭირნობისა და ყაირათიანობის რეჟიმის განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეურნეობრიობის ახალი ფორმები და მეთოდები, რომლებიც ინერგება სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებში.

გაუმჯობესდა კონტაქტები სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა კოლექტივებთან. გარკვეული ძვრებია მიღწეული მეცნიერული ნამუშევრების ინტენსიფიკაციისა და ქალაქის სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში მათი დანერგვის საქმეში.

წარმოების მართვაში შრომითი კოლექტივების როლის ასამაღლებლად სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად გაწეული მუშაობა დადებით ვაგულენას ახდენს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების შედეგებზე.

ქალაქის სამრეწველო საწარმოები მთლიანად წარმატებით ათმევენ თავს მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმის ძირითად მაჩვენებელთა შესრულებას. წინასწარი მონაცემებით, გეგმის გადამეტებით გამოშვებულ იქნა 300 მლნ მანეთზე მეტი ღირებულების სამრეწველო პროდუქცია, წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი შეადგენს 135 პროცენტს, შრომის ნაყოფიერება გადიდდება 130 პროცენტამდე, დიდი გადაჭარბებით შესრულდება სახალხო მონმარების საქონლის წარმოების დავალება.

გადაჭარბებით სრულდება სახელმწიფო დავალებანი კაპიტალური მშენებლობის ყველა დარგში, მათ შორის საცხოვრებელი სახლების, სკოლების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებისა და საავადმყოფოების საქსპულატაციოდ გადაცემის დარგში.

წლებანდელი წლის ათი თვის მაჩვენებლების მიხედვით სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა 102,2 პროცენტი შეადგინა, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 56 მლნ მანეთის, ხოლო რეალიზებულია 23,3 მლნ მანეთის პროდუქცია, მისი თვითღირებულება შემცირებულია 1,4 პროცენტით. წარმოებულია ხარისხის უმაღლესი კატეგორიის 239,8 მილიონი მანეთის პროდუქცია, რაც შეადგენს სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის 12,8 პროცენტს საგვეგმო 10,9 პროცენტთან შედარებით. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის შედეგად პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულმა ეკონომიამ დაახლოებით 10,5 მილიონი მანეთი შეადგინა.






წარმატებით სრულდება ნედლეულისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნედ ხარჯვის გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებანი, რასაც საშუალებას აძლევს შრომითს კოლექტივებს სამი დღე იმუშაონ დაზოგვნილი მასალებით.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები ახორციელებენ მთელ რიგ ღონისძიებებს სოციალისტური დემოკრატიის, როგორც ეკონომიკის განვითარების, ადამიანის აქტიურობის გადიდების, მასების კომუნისტური აღზრდის დიდმნიშვნელოვანი ინსტრუმენტის, შემდგომ გასაღრმავებლად, საბჭოების საქმიანობაში საჯაროობის გასაფართოებლად, ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ტერიტორიული და საწარმოო ჯგუფებისა და საფეხვაგოების აქტიურობისა და გერგილიანობის გასაზრდელად, მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მიკრორაიონთა საბჭოებთან, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმომქმედების სხვა ორგანოებთან ურთიერთკავშირის განსამტკიცებლად, ბრძოლის გასაძლიერებლად ისეთ ანტისაზოგადოებრივ მოკლენებთან, როგორიც არის ხელვიგნობა, მეჭრთამეობა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების დატაცება, ლოთობა, ალკოჰოლიზმი, მუქთახორთობა.

ძირითადად დადებითად აფასებს რა სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დირსეული შეხვედრისათვის ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ გაწეულ მუშაობას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ამავე დროს აღნიშნავს, რომ მათი საქმიანობა სრულად ვერ უპასუხებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნებს. მიუხედავად ქალაქისა და რაიონების მასშტაბით დარგთაშორის ტერიტორიულ გაერთიანებათა შექმნისა, რომლებიც მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ წარმოების ინტენსიფიკაციას, საწარმოთა რიტმულ მუშაობას, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში, კერძოდ, მანქანათმშენებლობაში, საქმის ვითარება მნიშვნელოვნად გაუარესდა.

წელს ქალაქის ცალკეულმა სამრეწველო საწარმოებმა სახელმწიფოს დააკლეს 17,9 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. ქალაქის ზოგიერთ რაიონში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის დავალებათა შეუსრულებლობის გამო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების სოციალისტური ვალდებულებანი ვერ შეასრულა 38 სამრეწველო საწარმოში.

იმ საწარმოთა რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირების მიუხედავად, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ პროდუქციის ზრდისა და რეალიზაციის, აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს, მიმდინარე წლის განვლილი პერიოდის შედეგების მიხედვით ისინი შეადგენენ შესაბამისად 13 და 17 ერთეულს. საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დონე ხელფასის ფონდის ერთ მანეთზე ჯერ კიდევ უაღრესად დაბალია და შეადგენს მხოლოდ 10-20 კაპიკს. ბევრ საწარმოში სუსტად იყენებენ ამ მიზნით წარმოების ნარჩენებს.



ქალაქში განსაკუთრებით მწვევედ დგას საბინაო მშენებლობის ხარისხის პრობლემა. ხშირია შემთხვევები, როდესაც საქსპლუატაციონის დასრულებული სერიოზული ხარვეზების მქონე საცხოვრებელი სახლები.

სამშენებლო ორგანიზაციებში შეინიშნება არაჯანსაღი, ეკონომიკურად დაუსაბუთებელი ტენდენცია, როდესაც საშუალო თვიური ხელფასის ზრდის ტემპი წინ უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს.

არ ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი მოსახლეობის კომუნალურ, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო მომსახურებასთან დაკავშირებულ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მუშაობის ძირეული გაუმჯობესებისათვის. საცალო საქონელბრუნვისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საერთო მოცულობის გეგმების შესრულებას თავი ვერ გაართვეს შესაბამისად სავაჭრო ობიექტების 40,2 პროცენტმა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს საწარმოთა 21,3 პროცენტმა. ამასთან ჯერ კიდევ დაბალია მომსახურების კულტურა, არ არის აღმოფხვრილი მომხმარებელთა ზომაწონასა და ანგარიშში მოტყუების, უხეშობის ფაქტები.


კვლავ ბევრ საყვედურს იმსახურებენ საბჭოების აღმასკომები, იმის გამო, რომ დროულად არ განიხილავენ საცხოვრებელი ბინის მიცემის, კომუნალური მომსახურების ხარისხის, ქუჩებისა და ეზოების სანიტარიული მდგომარეობის საკითხებს.

ობერატიული ვითარება ქალაქში კვლავ რთულია. სამართალდამცველმა ორგანოებმა ჯერ კიდევ ვერ აღკვეთეს ისეთი სამართალდარღვევები, როგორც არის ბინის ქურდობა, ძარცვა, ხულიგნობა და სხვ.

ყოველივე ეს იწვევს მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას, რაც გამოიხატება ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოებისათვის მრავალი წერილობითი და სიტყვიერი მიმართვით. საკმარისია აღინიშნოს, რომ ქ. თბილისიდან წლევიანდელი წლის 10 თვეში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიმართა 2800-ზე მეტმა მოქალაქემ.

სახალხო დემუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოები ყოველთვის პრინციპულად როდი აფასებენ ზოგიერთი გაერთიანების, საწარმოს, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციის, მოსახლეობის მომსახურების სფეროს დაწესებულებების მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს, სოციალური სამართლიანობის პრინციპების დარღვევის ფაქტებს, არ იღებენ საჭირო ზომებს იმ მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ რიტმულ მუშაობას, უშვებენ პროდუქციის ხარისხის დაქვეითებას.

საბჭოების სესიებზე, აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე იშვიათად ისმენენ სამეურნეო ხელმძღვანელთა ანგარიშებს საგეგმო და შრომის დისციპლინის, შრომელთა ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების მდგომარეობის შესახებ. ხშირად მიღებული გადაწყვეტილებები არ არის განმტკიცებული ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობით, არ წესდება მკაცრი კონტროლი მათი განუხრელი შესრულებისადმი. საბჭოების სესიების მომზადებისას იშვიათად სწავლობენ საზოგადოებრივ აზრს, სუსტად ინერგება საბჭოებისა და



მათი აღმასკომების გადაწყვეტილებათა პროექტების შრომითი კოლექტივებისა და მოსახლეობისათვის წინასწარ გაცნობის პრაქტიკა.

ზოგიერთი რაიონული საბჭო, მისი აღმასრულებელი კომიტეტი არ იჩენს საჭირო სიმტკიცეს შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის, განსაკუთრებით იმ ნაწილის განხორციელებაში, რომელიც შეეხება მათი აქტიურობის გადიდებას საწარმოთა ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებასა და განხილვაში, საკმარისად არ ზრუნავს კოლექტივის წინაშე ხელმძღვანელ მუშაკთა პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის.

ჯერ კიდევ ყველგან არ ეთმობა სათანადო ყურადღება დეპუტატთა ჯგუფებისა და დეპუტატთა საგუშაგოების, მიკრორაიონთა საბჭოების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების როლის გადიდებას საესიო საქმიანობის, მუდმივი კომისიების მუშაობის სრულყოფაში, ამომრჩეველთა განაწესების შესრულებაში, შრომით კოლექტივებთან, მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კავშირის განმტკიცებაში, ამასთან ყოველთვის უნარიანად როდი იყენებენ მათს მდიდარ შესაძლებლობებს მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის განხორციელების, სასურსათო პროგრამის რეალიზაციის, საცნოვრებელი ფონდის დაცვა-შენახვის და კომუნალური მეურნეობის მდგომარეობის საკითხების გადაწყვეტაში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ზ. შ. მესხიშვილის ინფორმაცია „სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ“.

2. ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა მთელი თავიანთი ორგანიზატორული, პოლიტიკურ-აღმზრდელითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობა დაუქვემდებარონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის, ივლისისა და ოქტომბრის პლენუმების, სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის გადაწყვეტილებათა განუხრებელ შესრულებას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებებსა და გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების რეალიზაციას; ემზადებიან რა სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, განავითარონ მშრომელთა ინიციატივა და აქტიურობა, დარაზმონ ისინი 1985 წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად, მეთორმეტე ხუთწლედის წარმატებით დაწყების მყარი ბაზის შესაქმნელად; აქტიურად შეუწყონ ხელი

ყრილობისწინა სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას სამრეწველო საწარმოების, საშენებლო, სატრანსპორტო ორგანიზაციების, სამეცნიერო და კულტურის დაწესებულებათა, მოსახლეობის მომსახურების სფეროს მიერ მითს კოლექტივებში, თითოეულ კოლექტივში მტკიცე დისციპლინისა და ორგანიზებულობის ვითარების შექმნას; ყოველნაირად დაუჭირონ მხარი და გააერთიანონ მოწინავე საწარმოთა, წარმოების ნოვატორთა, დეპუტატთა ინიციატივა და მუშაობის დადებითი გამოცდილება; გაზარდონ სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის, გააძლიერონ ბრძოლა შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენების, მოპოვების რეჟიმის განხორციელებისათვის, სამუშაო დროის დანაკარგების შემცირებისათვის.

3. თბილისის საქალაქო, რაიონულმა საბჭოებმა, წყნეთის სადაბო საბჭომ, მათმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა:


მიიღონ საჭირო ზომები დარგთაშორის ტერიტორიულ გაერთიანებათა საკოორდინაციო ფუნქციების განხორციელების სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის, უზრუნველყონ მათი ქვედანაყოფების მმართველობითი და სამეურნეო-საანგარიშო საქმიანობის ზუსტი ორგანიზაცია;

დააწესონ სისტემატური კონტროლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა, აგრეთვე შრომის ორგანიზაციის, მშრომელთა მორალური და მატერიალური წახალისების იმ ახალი ფორმების დანერგვის დაჩქარებისადმი, რომლებიც გამართლდა; განავითარონ გაერთიანებათა და საწარმოთა კოლექტივების ინიციატივა, რომლებმაც ივალდებულეს გადაჭარბებით შეასრულონ მათთვის დაწესებული საკონტროლო საგეგმო დავლებანი;

საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის მუდმივი სრულყოფით მიიღწიონ ნედლეულის, ელექტრო-და თბოენერჯის რაციონალური გამოყენებას, გააძლიერონ საბჭოების მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და დეპუტატთა საგუშაგოების როლი წარმოების კულტურის შემდგომ ამაღლებაში;

მუდმივად იზრუნონ მშრომელთა მხარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, გააუმჯობესონ მომსახურების სფეროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის ხარისხი, გააფართოონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობა და ასორტიმენტი, უფრო ფართოდ გამოიყენონ ამ მიზნით ადგილობრივი ნედლეული და წარმოების ნარჩენები;

მიიღწიონ სოციალური სამართლიანობის პრინციპების განხორციელებას, საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური მშენებლობის გეგმების რეალიზაციას, უზრუნველყონ სამუშაოების შესრულება საბინაო ფონდის, კომუნალური მეურნეობის, სამგზავრო ტრანსპორტის ზამთრის პერიოდში საიმედო ექსპლუატაციისათვის მოსამზადებლად, მოსახლეობის სასმელი და ცხელი წყლით შეუფერხებელი მომარაგებისათვის;




უფრო სრულად გამოიყენონ ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა საქმიანობისდმი კონტროლის უფლება ბუნების დაცვის, მშენებლობის, სოციალურ-კულტურული მომსახურების, შრომითი რესურსების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების საკითხებში;

წარმართონ მიზანმიმართული მუშაობა სასურსათო პროგრამის სარეალიზაციოდ, მიიღონ საჭირო ზომები საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დამხმარე სასოფლო მეურნეობათა, კოლექტიური მეზღოებისა და მეზღოების შემდგომ განსავითარებლად და განსამტკიცებლად, გააფართონ საშეფო კავშირი რესპუბლიკის რაიონების სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან, მეტი ყურადღება დაუთმონ კვების პროდუქტებზე ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას;

მუდმივად სრულყონ მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-აღმზრდელი მუშაობა შრომითს კოლექტივებში და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას, გააქტიურონ სამართლებრივი პრობანდა, უზრუნველყონ კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევა, ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განუხრელი განხორციელება; ხელი შეუწყონ დეპუტატთა, საბჭოთა აქტივის აქტიურ ჩაბმას ანტიალკოჰოლურ ბრძოლაში; უნარიანად გამოიყენონ ამ საქმეში ორგანიზაციული, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და აღმზრდელი ღონისძიებანი; გამოაცოცხლონ სამართლდამცველი ორგანოების, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების, ამხანაგური სასამართლოებისა და ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მუშაობა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად; მოსახლეობის თავისუფალი დროის ორგანიზაციისათვის მაქსიმალურად გამოიყენონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები და სპორტული ნაგებობები;

მხედველობის არეში მუდმივად იქონიონ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის განხორციელების საკითხები, გაზარდონ პედაგოგიური კოლექტივებისა და საბაზო ორგანიზაციების პასუხისმგებლობა სასწავლო-აღმზრდელი მუშაობით პროცესის შემდგომი სრულყოფის, მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის მათი მომზადების, სკოლებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის;

თანამიმდევრულად განავითარონ დემოკრატიული საწყისები თავიანთ საქმიანობაში, ამაღლონ საბჭოების სესიების, აღმასრულებელი კომიტეტებისა და მუდმივი კომისიების სხდომების მომზადებისა და მოწყობის ხარისხი, უფრო ხშირად მოისმინონ მათზე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ინფორმაციები ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამის შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ, სრულყონ ამომრჩეველთა და მოსახლეობის წინაშე დეპუტატების, აღმასკომების, მათი ვანყოფილებებისა და სამმართველოების ანგარიშების ორგანიზაცია, გააფართონ საბჭოების სესიებზე დეპუტატთა შეკითხვის წესით მიმართვის პრაქტიკა;



დააწესონ სისტემატური კონტროლი ზემდგომი პარტიული ედუკაციის ორგანოების დადგენილებებისა და საკუთარი გადაწყვეტილებების მიმდინარეობისადმი, გააუმჯობესონ მუშაობა მშრომელთა კრიტიკულ შენიშვნებზე, წინადადებებზე, წერილებსა და საჩივრებზე რეაგირებისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციისათვის, დაუცხრომლად იბრძოლონ ამ საქმეში ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის აღმოსაფხვრელად;


ყოველნაირად შეუწყონ ხელი დეპუტატთა ინიციატივისა და აქტიურობის შემდგომ ამალებას, უზრუნველყონ მათი საქმიანი მონაწილეობა ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციაში, მიაღწიონ, რომ თითოეული დეპუტატი იყოს შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების მაგალითი, დისციპლინიანობისა და ორგანიზებულობის ნიმუში, წარმოების მოწინავე;

გააუმჯობესონ დეპუტატთა ტერიტორიული და საწარმოო ჯგუფებისა და დეპუტატთა საგუშაგოების მუშაობა, გაუწიონ მათ კონკრეტული დახმარება შრომით კოლექტივებში და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას პრაქტიკული საქმიანობის სტილისა და მეთოდების სრულყოფაში, გააძლიერონ ხელმძღვანელობა მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებში, მიკროაიონთა საბჭოებისადმი, განამტკიცონ ურთიერთკავშირი მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სახალხო კონტროლის ორგანოებთან;

უზრუნველყონ საბჭოების მუშაობის ფართო საჯაროობა, სისტემატურად მიაწოდონ ინფორმაცია შრომით კოლექტივებს, მოსახლეობას საბჭოების, მათი ორგანოების საქმიანობის შესახებ, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესრულების, განაწესების რეალიზაციის მიმდინარეობის თაობაზე; საბჭოების, მათი აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები რეგულარულად განიხილონ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების კოლექტივებში, მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილას.

4. სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული და სადაბო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა განავრდონ სკკპ პროგრამის ახალი რედაქციისა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტების შესწავლა-განხილვა შრომითი კოლექტივების კრებებზე და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას; ჩაატარონ დამატებითი მეცადინეობები საბჭოთა აქტივის საქალაქო სემინარ-ლექტორიუმსა და ყველა დეპუტატთა სკოლაში სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მასალების, სესიაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების, გორკის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს სესიაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ან. ა. ა. გრომიკოს გამოსვლის შესასწავლად.

5. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა განუხრელად იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის, ივლი-



სისა და ოქტომბრის პლენუმების, სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის გადაწყვეტილებებით, დასახონ და განხორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ორგანიზატორული და აღმზრდელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, წარმოების ინტენსიფიკაციის პრობლემების გადაწყვეტა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის დაჩქარება, მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და ხარისხის ამაღლების საფუძველზე სასურსათო პროგრამის რეალიზაცია, მოსახლეობის მომსახურების სფეროს საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობის გაუმჯობესება; განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი საწარმოო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე დისციპლინისა და ორგანიზებულობის განსამტკიცებლად; დარაზმონ მშრომელთა ფართო მასები სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

6. რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული ვაზეთების რედაქციებმა, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა გამარავალფეროვნონ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის გაშუქების შინაარსი და ფორმები, უფრო ფართოდ ასახონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განუხრელად შესასრულებლად, 1985 წლისა და მთლიანად ზუთწლეულის სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების სარეალიზაციოდ, მეთორმეტე ზუთწლეულის წარმატებით დაწყების მყარი საფუძვლის მომზადებისათვის მშრომელთა დასარაზმავად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 7 დეკემბერი.

№ 42—XI ს

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

**412** „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების აღვლილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უზღვევების შეხახვა“ საქართველოს სსრ კანონი ცვლილებათა და დამატებათა შეთანხმების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო  
**ადგენს:**

შეტანილ იქნეს „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტა-



ტემის ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ საქართველოს სსრ 1961 წლის 27 დეკემბრის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1962 წ., № 3, მუხ. 47; 1969 წ., № 10, მუხ. 181; 1972 წ., № 12, მუხ. 239) საქართველოს სსრ კონსტიტუციიდან, საქართველოს სსრ სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების შესახებ საქართველოს სსრ კანონებიდან და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების შესახებ“ სსრ კავშირის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 5 აგვისტოს ბრძანებულებიდან გამომდინარე ცვლილებები და დამატებები და დამტკიცდეს მისი ახალი რედაქცია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 7 დეკემბერი.

№ 43—XI ს

საქართველოს საგზოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

**413** საქართველოს საგზოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტომობილური საგზოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საგზოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ

## ა ბ რ ი

### ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1.** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი არის საქართველოს სსრ ფულადი სახსრების სახელმწიფო ფონდის შექმნისა და გამოყენების ძირითადი საფინანსო გეგმა. საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში თავმოყრილია ეროვნული შემოსავლის ნაწილი, რომელიც ხმარდება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ვაჭრობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების გეგმაზომიერ განვითარებას, საქართველოს სსრ ხალხთა მატერიალური კეთილდღეობისა და ცხოვრების კულტურული დონის ამაღლებას, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შენახვას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრები უპირატესად იქმნება სოციალისტური მეურნეობის შემოსავლის ხარჯზე, რომელიც მუდმივად იზრდება სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი გაფართოებისა და სრულყოფის საფუძველზე. საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის



შექმნაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ მოქალაქენი თავიანთი პირადად მოსავლით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებით დადგენილი ვადასახდების ვადასახდისა და სახსრების ნებაყოფლობით შეტანის გზით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების პროცესში უზრუნველყოფილია შემოსავლის რაც შეიძლება სრული გამოვლენა და მობილიზაცია, სახელმწიფო სახსრების ეკონომიკური ხარჯვა, ზორციელდება კონტროლი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის და მათ მიერ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის დავალებათა შესრულებისადმი.

**მუხლი 2.** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი, როგორც სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოსი, რომელიც ერების თავისუფალი თვითგამორკვევის შედეგად, ნებაყოფლობითობისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე სხვა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებთან ერთად გაერთიანებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად — ერთიან საკავშირო მრავალეროვან სახელმწიფოდ, ერთიანდება სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში საკავშირო ბიუჯეტთან და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებთან ერთად.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი სსრ კავშირის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების საკავშირო ბიუჯეტთან გაერთიანების საფუძველზე უზრუნველყოფილია მთლიანად სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკებში სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსება, საქართველოს სსრ რესპუბლიკის მონაწილეობა საერთო-საკავშირო მნიშვნელობის ღონისძიებათა განხორციელებაში, საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივი განვითარება და მათი ურთიერთდახმარება.

**მუხლი 3.** საქართველოს სსრ საბიუჯეტო წყობა განისაზღვრება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობილებით, რომელშიც შედის აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და არის რაიონები და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქები. ამის შესაბამისად, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი აერთიანებს საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივ ბიუჯეტს, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ადგილობრივ ბიუჯეტებს.



**მუხლი 4.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა, განხილვა, დამტკიცება, შესრულება და მისი შემოსავლისა და გასავლის განხილვა საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტსა და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტებს შორის ხორციელდება დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს ავტონომიური რესპუბლიკების, სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების უფლებათა დაცვას და საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს საბიუჯეტო სისტემისა და საფინანსო პოლიტიკის ერთიანობას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას გაითვალისწინება ამომრჩეველთა განაწესები.

**მუხლი 5.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ერთი წლის ვადით, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. დამტკიცებული საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს კანონს.

სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან ზუსტად და განუხრელად შეასრულონ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი, მთლიანად და დროულად შეიტანონ ბიუჯეტში დადგენილი გადასახდელები და დაიცვან მკაცრი ეკონომია სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში.

**მუხლი 6.** აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას აქვთ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი.

**მუხლი 7.** სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს აქვს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დემუტატთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი.

თითოეულ რაიონს, ქალაქს, ქალაქის რაიონს, სადაბო და სასოფლო საბჭოს აქვს შესაბამისი სახალხო დემუტატთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ადგილობრივი ბიუჯეტი.

## პ ა რ ი II

### საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი

**მუხლი 8.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი დგება შემოსავლებისა და გასავლის მიხედვით, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესაბამისად მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისათვის.



### მუხლი 9. საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში შედის შემოსავლი:

შემოსავლი:

ა) გადასახდლები რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სახელმწიფო საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგებიდან;

ბ) სატყეო შემოსავალი, საშემოსავლო გადასახადი კოლმეურნეობებიდან, აგრეთვე საშემოსავლო გადასახადი კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, რომელსაც იხდიან მათი რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები და მათდამი დაქვემდებარებული საწარმოები და ორგანიზაციები;

გ) სასოფლო-სამეურნეო გადასახადი;

დ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის ანარიცხები 50 პროცენტის ოდენობით;

ე) სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების რეალიზაციით მიღებულ შემოსულობათა ანარიცხები 50 პროცენტის ოდენობით;

ვ) სახელმწიფო ბაჟი, კინოფილმების დემონსტრაციის შემოსავლიდან გადასახადი, ადგილობრივი გადასახადები;

ზ) სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით დადგენილი სხვა შემოსავლები.

**მუხლი 10.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში, გარდა ამ კანონის მე-9 მუხლში გათვალისწინებული შემოსავლებისა, გადაიცემა:

ა) სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრები პენსიების გასაცემად;

ბ) ბრუნვის გადასახადისა და სხვა საერთო-საკავშირო სახელმწიფო შემოსავლის ანარიცხები სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული ოდენობით.

**მუხლი 11.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში შედის ხარჯები:

ა) რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების დასაფინანსებლად;

ბ) იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებსაც ახორციელებენ საქართველოს სსრ დაწესებულებები და ორგანიზაციები განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურის დარგში, პენსიებისა და დახმარებების გასაცემად და სოციალური უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებათა დასაფინანსებლად;

გ) საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, სასამართლოებისა და სანოტარო კანტორების შესანახად;

დ) სხვა ღონისძიებებისათვის, რომლებიც სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად დაფინანსდება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

**მუხლი 12.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების სარეზერვო ფონდები, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო, თბილისისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გაუთვალისწინებელი ხარჯების ფონდები სახალ-



ხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ და სხვა ღონისძიებათა გადართობის ხარჯების დასაფარავად, რომლებიც გათვალისწინებული ვერ იქნებოდა საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებისას.

**მუხლი 13.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში, გათვალისწინებული ხარჯების გარდა, დასაფარავი წლის დასაწყისისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ნაშთის ანგარიშზე იქმნება საკასო საბრუნავი სახსრები. საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობა განისაზღვრება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებისას.

საკასო საბრუნავი სახსრები წლის განმავლობაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დროებითი საკასო გარღვევის დასაფარავად და იმავე წელს უნდა აღდგეს ბიუჯეტის დამტკიცებისას დადგენილ ოდენობამდე.

**მუხლი 14.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის გამოცენას საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტსა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

**მუხლი 15.** სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენის დადგენილი წესისა და ვადების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის პროექტებში შეტანილ დასაფარავი წლის მაჩვენებელთა საფუძველზე შეიმუშავებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს განსახილველად და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში შესატანად.

**მუხლი 16.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ორგანიზაციას უწევს მუშაობას საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესადგენად.

მომდევნო წელს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესადგენად:

ა) ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო, რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის, ავტონომიური რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების პროექტებში შეტანილ დასაფარავი წლის მაჩვენებელთა საფუძველზე შეადგენენ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების, ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების პროექტებს;

ბ) საქართველოს სსრ სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები დასაფარავი წლისათვის საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის პროექტით გათვალისწინებულ დავა-

ლებათა საფუძველზე შეადგენენ საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების პროექტებს და წარუდგენენ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის შესადგენად;

გ) საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო წინასწარ განიხილავს:

ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების, ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების პროექტებს ავტონომიური რესპუბლიკების, საოლქო, რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით;

საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების პროექტებს მათ წარმომადგენელთა მონაწილეობით.

აღნიშნული პროექტების განხილვის შემდეგ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო:

შეადგენს საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტს;

საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების პროექტების საფუძველზე შეადგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების, ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების პროექტების წინასწარი განხილვის შესახებ მოხსენებასთან ერთად წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

**მუხლი 17.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო განიხილავს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, რომელიც შედგენილია სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის გათვალისწინებული მაჩვენებლების შესაბამისად, და საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს წარუდგენს:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით, და გასავლის საერთო თანხას, საიდანაც გამოყოფილია ასიგნებანი სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, სასამართლოებისა და სანოტარო კანტორების შესანახად;

ბ) საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით, და გასავლის საერთო თანხას, საიდანაც გამოყოფილია ძირითადი სახეობის ხარჯები სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, სასამართლოებისა და სანოტარო კანტორების შესანახად, რომლებიც დაფინანსდება საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, აგრეთვე ბიუჯეტში



გადასახდელებისა და ასიგნებათა განაწილებით საქართველოს სსრ-ის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების მხედველობაში;

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებს, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტებს;

დ) წინადადებებს ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტებში საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან ანარიცხების ოდენობის შესახებ;

ე) წინადადებებს საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობის შესახებ საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის, თითოეული ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების მიხედვით.


**მუხლი 18.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში წარდგენილი საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი წინასწარ განიხილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიებში.

**მუხლი 19.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიები:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისას მოისმენენ საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების მოხსენებებს მათი საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შესახებ, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მოხსენებებს ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების, ოლქის, რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) ბიუჯეტების შემოსავლისა და გასავლის შესახებ, აგრეთვე განიხილავენ საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, საოლქო, რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ შეტანილ წინადადებებს, რომლებიც შეეხება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის ცვლილებას;

ბ) შეადგენენ და საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს წარუდგენენ დასკვნას საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

**მუხლი 20.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო განიხილავს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნისა და თანამოხსენების მიხედვით, აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა მიერ შეტანილ წინადადებებს.



**მუხლი 21.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ამტკიცებს:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შიდა მოსახლისა და საგარეო მოსახლის საერთო თანხას, საიდანაც გამოყოფილია ასიგნებანი სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, სასამართლოებისა და სანოტარო კანტორების შესანახად;

ბ) საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტს;

გ) ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტში, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტებში საერთო-სააკაშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ანარიცხების ოდენობას;

დ) საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტები განისაზღვრება შემოსავლის საერთო თანხით და გასავლის საერთო თანხით თითოეული ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მიხედვით, აგრეთვე ამ ბიუჯეტების საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობა.

**მუხლი 22.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებისას შეუძლია გაზარდოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს სს რესპუბლიკისათვის დადგენილი შემოსავლებისა და გასავლის საერთო თანხა სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის გათვალისწინებული საერთო-სააკაშირო სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან ანარიცხების ოდენობის შეუცვლელად.

**მუხლი 23.** საქართველოს სსრ კანონი საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გამოქვეყნდება საყოველთაო გაცნობისათვის.

**მუხლი 24.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების გამოცემის ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, რომელთა შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის, რაიონის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტის ხარჯები იზრდება ან შემოსავალი მცირდება, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პროცესში ამ ბიუჯეტს სათანადო თანხები აუნაზღაურდება საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან; ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის, რაიონის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტის ხარჯების შემცირებისას ან შემოსავლის გაზარდისას შესაბამისი თანხები გადაეცემა საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტს.



**მუხლი 25.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ორგანიზაციას, უწყვეს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დემუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სსრ სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, საოლქო, რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები უზრუნველყოფენ ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველა შემოსავლის შესრულებას, საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას ზუსტი მიზნობრივი დაწინაურებით და საწარმოო და საფინანსო გეგმების შესრულებისა და მიხედვით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულებას ახორციელებენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა და მისი საქვეუწყებო კანტორები და განყოფილებები.

**მუხლი 26.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს შეადგენს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო და წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესითა და ვადებში.

**მუხლი 27.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.


**მუხლი 28.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიები განიხილავენ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, შეადგენენ დასკვნას ანგარიშის შესახებ და წარუდგენენ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

**მუხლი 29.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნისა და თანამოხსენების მიხედვით განიხილავს და დამტკიცებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, რომელშიც შედის საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ გამოქვეყნდება საყოველთაო გაცნობისათვის.

**მუხლი 30.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში წარდგენილ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს წინა-





წარ განიხილავენ, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თაობაზე დასკვნებს შეადგენენ და საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს წარუდგენენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიები ამ კანონით, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტითა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულებით გათვალისწინებული წესით.

**მუხლი 31.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისადმი კონტროლს ახორციელებს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 32.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისადამატებით მიღებული შემოსავალი, აგრეთვე გასავალზე შემოსავლის გადამეტების თანხები, რომლებიც წლის ბოლოსათვის წარმოიშობა შემოსავლის გადამეტების ან გასავალში გაწეული მომჭირნეობის შედეგად, რჩება საქართველოს სსრ განკარგულებაში და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები მათ მოახმარენ სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და სხვა ხარჯების დაფინანსებას, კაპიტალურ დაბანდებათა ჩათვლით.

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებაზე საქართველოს სსრ ბიუჯეტის გამოუყენებელ ასიგნებათა ხარჯვის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებაზე სადაბო და სასოფლო ბიუჯეტების გამოუყენებელ ასიგნებათა გარდა, რომლებიც რჩება სადაბო და სასოფლო საბჭოების განკარგულებაში.

**მუხლი 33.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების წესების დამტკიცების წესს.

## პ ა რ ო III

### საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტი

**მუხლი 34.** საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტი უზრუნველყოფს საჭირო ფულადი სახსრებით საერთორესპუბლიკური მნიშვნელობის ღონისძიებათა დაფინანსებას ეკონომიკური და სოციალური განვითარების დარგში. საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის მეშვეობით ხორციელდება ფინანსური რესურსების ნაწილის გადანაწილება ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ავტონომიურ ოლქსა, რაიონებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალა-

ქებს შორის მათი ეკონომიკის ყოველმხრივი განვითარების, საქართველოს სსრ ხალხთა მატერიალური კეთილდღეობისა და ცხოვრების კულტურისა და სპორტის ზრდის უზრუნველყოფის მიზნით.

**მუხლი #5.** საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტში შედის შემოსავლები:

ა) გადასახდელები რესპუბლიკური დაქვემდებარების სახელმწიფო საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგებიდან;

ბ) სატყეო შემოსავალი, საშემოსავლო გადასახადი კოლმეურნეობებიდან, აგრეთვე საშემოსავლო გადასახადი კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, რომელსაც იხდიან მათი რესპუბლიკური ორგანოები და მათდამი დაქვემდებარებული საწარმოები და ორგანიზაციები;

გ) სასოფლო-სამეურნეო გადასახადი;

დ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის ანარიცხები 50 პროცენტის ოდენობით;

ე) სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების რეალიზაციიდან შემოსულობათა ანარიცხები 50 პროცენტის ოდენობით;

ვ) სხვა შემოსავლები, რომლებიც შედის საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტში საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი #6.** საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტში, ამ კანონის 35-ე მუხლში გათვალისწინებული შემოსავლების გარდა, შედის:

ა) სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრები პენსიების გასაცემად;

ბ) ბრუნვის გადასახადის და სხვა საერთოსაკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ანარიცხები საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული ოდენობით.


**მუხლი #7.** საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტში შედის ხარჯები:

ა) რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების დასაფინანსებლად;

ბ) იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებსაც ახორციელებენ რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულებები და ორგანიზაციები განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურის დარგში, პენსიებისა და დახმარებების გასაცემად და სოციალური უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებათა დასაფინანსებლად;

გ) საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, სასამართლოებისა და სანოტარო კანტორების შესანახად, რომლებიც დაფინანსდება საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან;

დ) სხვა ღონისძიებებისათვის, რომლებიც საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად დაფინანსდება საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.



**მუხლი 38.** ამ კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტში გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სარეზერვო ფონდი.

**მუხლი 39.** საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯების გარდა, დასავეგმავი წლის დასაწყისისათვის საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ნაშთის ანგარიშზე იქმნება საკასო საბრუნავი სახსრები. საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობა განისაზღვრება საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცებისას.

საკასო საბრუნავი სახსრები წლის განმავლობაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დროებითი საკასო გარღვევის დასაფარავად და იმავე წელს უნდა აღდგეს ბიუჯეტის დამტკიცებისას დადგენილ ოდენობამდე.

**მუხლი 40.** საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებული შემოსავალი, აგრეთვე გასაავალზე შემოსავლის გადამეტების თანხები, რომლებიც წლის ბოლოსათვის წარმოიშობა შემოსავლის გადაჭარბების ან გასაავალში გაწეული მომჭირნობის შედეგად, რჩება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებაში და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მათ მოახმარს სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ დონისძიებათა და სხვა ხარჯების დაფინანსებას, კაპიტალურ დაბანდებათა ჩითვლით.

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებაზე საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის გამოუყენებელ ასიგნებათა ხარჯვის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

**მუხლი 41.** ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების შესრულებისას დროებითი გეგმური საკასო გარღვევის შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების უშუალოდობით საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან შეიძლება გაიცეს სესხი, რომელიც უნდა დაიფაროს დადგენილ ვადაში მიმდინარე წლის განმავლობაში.

**მუხლი 42.** საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტი სრულდება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიერ შედგენილი შემოსავლისა და გასავლის განწერის მიხედვით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად.

## ბ ბ რ ი ი V



ეროვნული  
არჩევნების  
სამსახური

**ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი**

**მუხლი 43.** ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი უზრუნველყოფს ეკონომიკური და სოციალური განვითარების დარგში იმ ღონისძიებათა საჭირო ფულადი სახსრებით დაფინანსებას, რომლებსაც ახორციელებენ ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები.

**მუხლი 44.** ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო წყობა განისაზღვრება ავტონომიური რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობილებით და მას აწესებს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ამ კანონის შესაბამისად.

საქართველოს სს რესპუბლიკაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებს ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, დამტკიცებისა და შესრულების თანასწორი უფლებები აქვთ.

ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია და აერთიანებს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტსა და ადგილობრივ ბიუჯეტებს.

**მუხლი 45.** ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში შედის შემდეგი შემოსავალი:

ა) გადასახდელები რესპუბლიკური (ასსრ) და ადგილობრივი დაქვემდებარების სახელმწიფო საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგებიდან;

ბ) სატყეო შემოსავალი, საშემოსავლო გადასახადი კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, რომელსაც იხდიან მათი რესპუბლიკური (ასსრ) და ადგილობრივი ორგანოები და მათდამი დაქვემდებარებული საწარმოები და ორგანიზაციები;

გ) სასოფლო-სამეურნეო გადასახადი;


დ) სახელმწიფო ბაჟი, კინოფილმების დემონსტრაციის შემოსავლიდან გადასახადი, ადგილობრივი გადასახადები;

ე) სხვა შემოსავლები, რომლებიც შედის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 46.** ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტს, ამ კანონის 45-ე მუხლში გათვალისწინებული შემოსავლის გარდა, გადაეცემა ბრუნვის გადასახადის, კოლმეურნეობებიდან საშემოსავლო გადასახადის, მოსახლეობიდან საშემოსავლო გადასახადის და სხვა სახელმწიფო გადასახადების და შემოსავლების ანარიცხები საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული ოდენობით.

**მუხლი 47.** ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში შედის ხარკები:

ა) რესპუბლიკური (ასსრ) და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების დასაფინანსებლად;



ბ) იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებსაც ახორციელებენ ტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებები და ორგანიზაციები განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის დარგში;

გ) ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შესანახად;

დ) სხვა ღონისძიებებისათვის, რომლებიც საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

**მუხლი 48.** ამ კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სარეზერვო ფონდი.


**მუხლი 49.** ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში, გათვალისწინებული ხარჯების გარდა, დასაგეგმავი წლის დასაწყისისათვის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ნაშთის ანგარიშზე იქმნება საკასო საბრუნავი სახსრები. საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობა განისაზღვრება ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებისას.

საკასო საბრუნავი სახსრები წლის განმავლობაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დროებითი საკასო გარღვევის დასაფარავად და იმავე წელს უნდა აღდგეს ბიუჯეტის დამტკიცებისას დადგენილ ოდენობამდე.

**მუხლი 50.** ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის გამიჯვნას ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტსა, რაიონებისა და რესპუბლიკური (ასსრ) დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტებს შორის განსაზღვრავს ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

**მუხლი 51.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენის დადგენილი წესისა და ვადების შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის, ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის პროექტებში შეტანილ დასაგეგმავი წლის მაჩვენებელთა საფუძველზე შეადგენს ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს.

**მუხლი 52.** ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებისას შეუძლია გაზარდოს ამ კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში ავტონომიური რესპუბლიკისათვის დადგენილი შემოსავლის საერთო თანხა და გასავლის საერთო თანხა საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის გათვალისწინებული სა-



ხელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ანარიცხების ოდენობას შეეფერებოდეს.

**მუხლი 53.** ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებული შემოსავალი, აგრეთვე გასავალზე შემოსავლის გადამეტების თანხები, რომლებიც წლის ბოლოსათვის წარმოიშობა შემოსავლის გადაჭარბების ან გასავალში გაწეული მომჭირნეობის შედეგად, რჩება ავტონომიური რესპუბლიკის განკარგულებაში და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები მათ მოახმარენ სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და სხვა ხარჯების დაფინანსებას, კაპიტალურ დაბანდებათა ჩათვლით.

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებაზე ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის გამოუყენებელ ასიგნებათა ხარჯვის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებაზე სადაბო და სასოფლო ბიუჯეტების გამოუყენებელ ასიგნებათა გარდა, რომლებიც რჩება სადაბო და სასოფლო საბჭოების განკარგულებაში.

სოციალურ-კულტურული დაწესებულებების ქსელის განვითარების გეგმის შეუსრულებლობის გამო ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის გამოუყენებელ ასიგნებათა ხარჯვის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, გარდა სადაბო და სასოფლო საბჭოების განკარგულებაში დარჩენილი სადაბო და სასოფლო საბჭოების ბიუჯეტების ასიგნებებისა, რომლებიც გამოუყენებელია სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელის განვითარების გეგმის შეუსრულებლობის გამო.


**მუხლი 54.** რაიონებისა და რესპუბლიკური (ასსრ) დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების შესრულებისას დროებითი გეგმური საკასო გარღვევის შემთხვევაში სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შუამდგომლობით ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან შეიძლება გაიცეს სესხი, რომელიც უნდა დაიფაროს ლადგენილ ვადაში მიმდინარე წლის განმავლობაში.

**მუხლი 55.** კონტროლი ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისადმი ზორციელდება საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

**მუხლი 56.** ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო განიხილავს და ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, რომელშიც შედის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების ანგარიშები.

**მუხლი 57.** ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ამ კანონის შესაბამისად განსაზღვრავს ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებებს.



## პ ა რ ო ვ

### ავტონომიური ოლქის ბიუჯეტი

**მუხლი 58.** ავტონომიური ოლქის ბიუჯეტი საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია და უზრუნველყოფს ეკონომიკური და სოციალური განვითარების დარგში იმ ღონისძიებათა საჭირო ფულადი სახსრებით დაფინანსებას, რომლებსაც ახორციელებენ ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი.

**მუხლი 59.** ავტონომიური ოლქის ბიუჯეტი აერთიანებს საოლქო ბიუჯეტს, რაიონებისა და საოლქო დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტებს.

**მუხლი 60.** ავტონომიური ოლქის ბიუჯეტში შედის შემოსავლები:

ა) გადასახდელები სახელმწიფო საწარმოებისა და ადგილობრივი დაქვემდებარების სამეურნეო ორგანიზაციების მოგებიდან;

ბ) სახელმწიფო ბაჟი, კინოფილმების დემონსტრაციის შემოსავლიდან გადასახადი, ადგილობრივი გადასახადები;

გ) სხვა შემოსავლები, რომლებიც შედის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტში საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 61.** ავტონომიური ოლქის ბიუჯეტს, ამ კანონის მე-60 მუხლში გათვალისწინებული შემოსავლების გარდა, გადაეცემა ბრუნვის გადასახადის, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან საშემოსავლო გადასახადის, რომელსაც იხდიან მათი ადგილობრივი ორგანოები და მათდამი დაქვემდებარებული საწარმოები და ორგანიზაციები, სატყეო შემოსავლის, კოლმეურნოებებიდან საშემოსავლო გადასახადის, მოსახლეობიდან საშემოსავლო გადასახადის, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის და სხვა სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ანარიცხები საქართველოს სსრ ბიუჯეტში გათვალისწინებული ოდენობით.

**მუხლი 62.** ავტონომიური ოლქის ბიუჯეტში შედის ხარჯები:

ა) ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების დასაფინანსებლად;

ბ) იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებსაც ახორციელებენ ადგილობრივი დაქვემდებარების დაწესებულებები და ორგანიზაციები განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის დარგში;

გ) ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შესახად;

დ) სხვა ღონისძიებებისათვის, რომლებიც საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად დაფინანსდება ავტონომიური ოლქის ბიუჯეტიდან.



**მუხლი 63.** ამ კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად ავტონომიური ოლქის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გათვალისწინებული ხარჯების ფონდი.

**მუხლი 64.** ავტონომიური ოლქის ბიუჯეტში, გათვალისწინებული ხარჯების გარდა, დასავეგმავი წლის დასაწყისისათვის აღნიშნული ბიუჯეტის სახსრების ნაშთის ანგარიშზე იქმნება საკასო საბრუნავი სახსრები. საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობა განისაზღვრება ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის დამტკიცებისას.

საკასო საბრუნავი სახსრები წლის განმავლობაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დროებითი საკასო გარდვევის დასაფარავად და იმავე წელს უნდა აღდგეს ბიუჯეტის დამტკიცებისას დადგენილ ოდენობამდე.

**მუხლი 65.** ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის გამოყენებას საოლქო ბიუჯეტსა, რაიონებისა და საოლქო დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტებს შორის განსაზღვრავს ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

**მუხლი 66.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენის დადგენილი წესისა და ვადების შესაბამისად ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის, ავტონომიური ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის პროექტებში შეტანილ დასავეგმავი წლის მაჩვენებელთა საფუძველზე შეადგენს ოლქის ბიუჯეტის პროექტს.

**მუხლი 67.** ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილი ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის პროექტის შედგენის წესისა და ვადების შესაბამისად:

ა) ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილება სხვა განყოფილებებისა და სამმართველოების მონაწილეობით ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და საოლქო დაქვემდებარების ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების პროექტთა საფუძველზე შეიმუშავებს რაიონების, საოლქო დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტების ძირითად მაჩვენებლებს და ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დავალებით გააცნობს მათ რაიონული, საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს რაიონებისა და საოლქო დაქვემდებარების ქალაქის, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტების პროექტების შესადგენად;

ბ) ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები ავტონომიური ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის პროექტით გათვალისწინებულ დავალბათა საფუძველზე შეადგენენ საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების პროექტებს და წარუდგენენ ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს საოლქო ბიუჯეტის პროექტის შესადგენად;





გ) ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილება წინასწარ განიხილავს:

რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წინადადებებსა და შენიშვნებს რაიონებისა და საოლქო დაქვემდებარების ქალაქის, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტების ძირითად მაჩვენებელთა შესახებ მათი წარმომადგენლების მონაწილეობით;

ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების პროექტებს მათი წარმომადგენლების მონაწილეობით.

აღნიშნული პროექტების, წინადადებებისა და შენიშვნების განხილვის შემდეგ ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილება:

შეადგენს საოლქო ბიუჯეტის პროექტს, საოლქო ბიუჯეტის პროექტის და რაიონებისა და საოლქო დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტების მაჩვენებელთა საფუძველზე შეადგენს ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

**მუხლი 65.** ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის პროექტს, რომელიც შედგენილია საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში ავტონომიური ოლქის ბიუჯეტისათვის გათვალისწინებული მაჩვენებლების შესაბამისად, და ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს წარუდგენს:

ა) ავტონომიური ოლქის ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით, და გასავლის საერთო თანხას, საიდანაც გამოყოფილია ასიგნებანი ადგილობრივი მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შესახებ;

ბ) საოლქო ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით, და გასავლის საერთო თანხას, საიდანაც გამოყოფილია ასიგნებანი ადგილობრივი მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ორგანოების შესახებ, რომლებიც დაფინანსდება საოლქო ბიუჯეტიდან, აგრეთვე ბიუჯეტში გადასახდელებისა და ასიგნებათა განაწილებით ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ცალკეული განყოფილებებისა და სამმართველოების მიხედვით;

გ) ავტონომიური ოლქის ბიუჯეტში შეტანილ რაიონებისა და საოლქო დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტებს;

დ) წინადადებებს რაიონებისა და საოლქო დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტებში სახელმწიფო გადასახდებისა და შემოსავლების ანარიცხების ოდენობის შესახებ;



ე) წინადადებებს საოლქო ბიუჯეტის, თითოეული რაიონის ~~ქაოლქო~~ დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტის საკასო საბრუნავი სახსრების ~~ოღენობის~~ თაობაზე.

**მუხლი 69.** ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოსათვის წარდგენილ ავტონომიური ოლქის ბიუჯეტს წინასწარ განიხილავენ ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საგვემო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიებში.

**მუხლი 70.** ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საგვემო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიები:

ა) ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის განხილვისას მოისმენენ ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების მოხსენებებს საფინანსო გეგმებისა და ხარჯთ-აღრიცხვების შესახებ, რაიონული, საქალაქო (საოლქო დაქვემდებარების ქალაქის) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მოხსენებებს რაიონების, ქალაქის ბიუჯეტების შემოსავლისა და გასავლის თაობაზე, აგრეთვე განიხილვენ ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების და რაიონული, საქალაქო (საოლქო დაქვემდებარების ქალაქის) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ შეტანილ წინადადებებს, რომლებიც შეეხება ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის ცვლილებას;

ბ) შეადგენენ და ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს წარუდგენენ დასკვნას ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის შესახებ.

**მუხლი 71.** ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო განიხილავს ავტონომიური ოლქის ბიუჯეტს აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენების, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს საგვემო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნისა და თანამოხსენების მიხედვით, აგრეთვე ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის განხილვისას ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს დეპუტატების მიერ შეტანილ წინადადებებს.

**მუხლი 72.** ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო ამტკიცებს:

ა) ავტონომიური ოლქის ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით, და გასავლის საერთო თანხას, საიდანაც გამოყოფილია ასიგნებანი ადგილობრივი მურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შესანახად;

ბ) საოლქო ბიუჯეტს;

გ) რაიონებისა და საოლქო დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტებში სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხების ოდენობას;

დ) საოლქო ბიუჯეტის საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობას.

ავტონომიური ოლქის ბიუჯეტში განისაზღვრება რაიონებისა და საოლქო დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტები შემოსავლის საერთო თანხითა და გასავლის საერთო თანხით თითოეული რაიონისა და საოლქო დაქვემდებარების

ქალაქის მიხედვით, აგრეთვე ამ ბიუჯეტების საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობა.

**მუხლი 73.** ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის დამტკიცებისას შეუძლია გაზარდოს ამ კანონის 21-ე მუხლით საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში ავტონომიური ოლქისათვის დადგენილი შემოსავლის საერთო თანხა და გასავლის საერთო თანხა. საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში ავტონომიური ოლქისათვის გათვალისწინებული სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ანარიცხების ოდენობის შეუცვლელად.

**მუხლი 74.** ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილება ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ გამოქვეყნდება საყოველთაო გაცნობისათვის.

**მუხლი 75.** ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების შემთხვევაში, რომელთა შესაბამისად რაიონებისა და საოლქო დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტების გასავალი იზრდება ან შემოსავალი მცირდება, ოლქის ბიუჯეტის შესრულების პროცესში ამ ბიუჯეტებს სათანადო სახსრები აღნაზღაურდებათ საოლქო ბიუჯეტიდან; რაიონებისა და საოლქო დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტების გასავლის შემცირებისას ან შემოსავლის გაზარდისას სათანადო თანხები გადაეცემა საოლქო ბიუჯეტს.

**მუხლი 76.** ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებული შემოსავალი, აგრეთვე გასავალზე შემოსავლის გადამეტების თანხები, რომლებიც წლის ბოლოსათვის წარმოიშობა შემოსავლის გადაჭარბების ან გასავალში გაწეული მომჭირნეობის შედეგად, რჩება ავტონომიური ოლქის განკარგულებაში და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები მათ მოახმარენ ადგილობრივი მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და სხვა ხარჯების დაფინანსებას, კაპიტალურ დაბანდებათა ჩათვლით.

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებაზე ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის გამოუყენებელ ასიგნებათა ხარჯვის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, სადაბო და სასოფლო ბიუჯეტების სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებაზე გამოუყენებელ ასიგნებათა გარდა, რომლებიც რჩება სადაბო და სასოფლო საბჭოების განკარგულებაში.

სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელის განვითარების გეგმის შეუსრულებლობის გამო ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის გამოუყენებელ ასიგნებათა ხარჯვის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, გარდა სადაბო და სასოფლო საბჭოების განკარგულებაში დარჩენილი სადაბო და სასოფლო საბჭოების ბიუჯეტების ასიგნებებისა, რომლებიც გამოუყენებელია



სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელის განვითარების უსრულებლობის გამო.

**მუხლი 77.** რაიონებისა და საოლქო დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტების შესრულებისას დროებითი ვეგმური საკასო გარდვევის შემთხვევაში სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (საოლქო დაქვემდებარების ქალაქის) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შუამდგომლობით ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით საოლქო ბიუჯეტიდან შეიძლება გაიცეს სესხი, რომელიც უნდა დაიფაროს დადგენილ ვადაში მიმდინარე წლის განმავლობაში.

**მუხლი 78.** ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ორგანიზაციას უწევს ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის შესრულებას ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების და სხვა განყოფილებებისა და სამმართველოების, რაიონული, საქალაქო (საოლქო დაქვემდებარების ქალაქის) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით.

საოლქო ბიუჯეტი სრულდება ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების მიერ შედგენილი შემოსავლისა და გასავლის განწერის მიხედვით ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად.

**მუხლი 79.** ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენების, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს საეგემო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნისა და თანამოხსენების მიხედვით განიხილავს და ამტკიცებს ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, რომელშიც შედის საოლქო ბიუჯეტის, რაიონებისა და საოლქო დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტების შესრულების ანგარიშები.

**მუხლი 80.** ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილება ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ გამოქვეყნდება საყოველთაო გაცნობისათვის.

## კ ა რ ი VI

**რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტი**

**მუხლი 81.** რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტი საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია და უზრუნველყოფს ეკონომიკური და სოციალური განვითარების დარგში იმ ღონისძიებათა საჭირო ფულადი სახსრებით დაფინანსებას, რომლებსაც ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი.

**მუხლი 82.** რაიონული დაყოფის მქონე ქალაქის ბიუჯეტი აერთიანებს სა-ქალაქო ბიუჯეტსა და ქალაქის შემადგენლობაში შემავალი რაიონების ბიუჯეტებს.

იმ შემთხვევაში, როდესაც დაბები და სოფლის დასახლებული პუნქტები ადმინისტრაციულად სახალხო დებუტატთა საქალაქო საბჭოს ექვემდებარება, სადაბო და სასოფლო ბიუჯეტები გაერთიანდება ქალაქის ბიუჯეტში.

**მუხლი 83.** ქალაქის ბიუჯეტში შედის შემოსავალი:

ა) გადასახდელები სახელმწიფო საწარმოებისა და ადგილობრივი დაქვემდებარების სამეურნეო ორგანიზაციების მოგებიდან;

ბ) სახელმწიფო ბაჟი, კინოფილმების დემონსტრაციის შემოსავლიდან გადასახადი, ადგილობრივი გადასახადები;

გ) სხვა შემოსავლები, რომლებიც შედის ქალაქის ბიუჯეტში საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 84.** ქალაქის ბიუჯეტს, ამ კანონის 83-ე მუხლში გათვალისწინებული შემოსავლის გარდა, გადაეცემა ბრუნვის გადასახადის, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან საშემოსავლო გადასახადის, რომელსაც იხდიან მათი ადგილობრივი ორგანოები და მათდამი დაქვემდებარებული საწარმოები და ორგანიზაციები, სატყეო შემოსავლის, კოლმეურნეობებიდან საშემოსავლო გადასახადის, მოსახლეობიდან საშემოსავლო გადასახადის, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის და სხვა სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ანარიცხები საქართველოს სსრ ბიუჯეტში გათვალისწინებული ოდენობით.

**მუხლი 85.** ქალაქის ბიუჯეტში შედის ხარჯები:

ა) ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების დასაფინანსებლად;

ბ) იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებსაც ახორციელებენ ადგილობრივი დაქვემდებარების დაწესებულებები და ორგანიზაციები განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის დარგში;


გ) ქალაქის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შესანახად;

დ) სხვა ღონისძიებებისათვის, რომლებიც საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად ქალაქის ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

**მუხლი 86.** ქალაქის ბიუჯეტში, გათვალისწინებული ხარჯების გარდა, დასაგეგმავი წლის დასაწყისისათვის აღნიშნული ბიუჯეტის სახსრების ნაშთის ანგარიშზე იქმნება საკასო საბრუნავი სახსრები. საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობა განისაზღვრება ქალაქის ბიუჯეტის დამტკიცებისას.

საკასო საბრუნავი სახსრები წლის განმავლობაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დროებითი საკასო გარღვევის დასაფარავად და იმავე წელს უნდა აღდგეს ბიუჯეტის დამტკიცებისას დადგენილ ოდენობამდე.

**მუხლი 87.** ქალაქის ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის გამიჯვნას საქალაქო ბიუჯეტსა, ქალაქის რაიონულ ბიუჯეტებსა, სადაბო, სასოფლო ბიუჯე-



ტებს შორის განსაზღვრავს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

**მუხლი 88.** ამ კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად ქალაქების თბილისისა და ქუთაისის ბიუჯეტებში იქმნება სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გაუთვალისწინებელი ხარჯების ფონდები.

**მუხლი 89.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენის დადგენილი წესისა და ვადების შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის, ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის პროექტებში შეტანილ დასაგეგმავი წლის მაჩვენებელთა საფუძველზე შეადგენს ქალაქის ბიუჯეტის პროექტს.

**მუხლი 90.** სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილი ქალაქის ბიუჯეტის პროექტის შედგენის წესისა და ვადის შესაბამისად:

ა) საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილება სხვა განყოფილებებისა და სამმართველოების მონაწილეობით ქალაქის, ქალაქის რაიონების, დაბების, სასოფლო საბჭოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების პროექტთა საფუძველზე შეიმუშავებს ქალაქის რაიონების ბიუჯეტების, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტების ძირითად მაჩვენებლებს და საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დავალებით გააცნობს მათ ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ქალაქის რაიონების, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტების პროექტების შესაღწევად;

ბ) საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის პროექტით გათვალისწინებულ დავალებათა საფუძველზე შეადგენენ საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების პროექტებს და წარუდგენენ საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს საქალაქო ბიუჯეტის პროექტის შესაღწევად;

გ) საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილება წინასწარ განიხილავს:

ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წინადადებებსა და შენიშვნებს ქალაქის რაიონების, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტების ძირითად მაჩვენებელთა შესახებ მათი წარმომადგენლების მონაწილეობით;

საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების პროექტებს მათი წარმომადგენლების მონაწილეობით.

აღნიშნული პროექტების, წინადადებებისა და შენიშვნების განხილვის შემდეგ საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილება შეადგენს საქალაქო ბიუჯეტის პროექტს;

საქალაქო ბიუჯეტის პროექტისა და ქალაქის რაიონების, სადაბო სოფლო ბიუჯეტების მაჩვენებელთა საფუძველზე შეადგენს ქალაქის ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

**მუხლი 91.** სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს ქალაქის ბიუჯეტის პროექტს, რომელიც შედგენილია საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში ქალაქის ბიუჯეტისათვის გათვალისწინებული მაჩვენებლების შესაბამისად, და საქალაქო საბჭოს წარუდგენს:

ა) ქალაქის ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას ძირითადი წყაროების გამოყოფით, და გასავლის საერთო თანხას, საიდანაც გამოყოფილია ასიგნებანი ადგილობრივი მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, ქალაქის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შესანახად;

ბ) საქალაქო ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით, და გასავლის საერთო თანხას, საიდანაც გამოყოფილია ასიგნებანი ადგილობრივი მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შესანახად, რომლებიც დაფინანსდება საქალაქო ბიუჯეტიდან, აგრეთვე ბიუჯეტში ვადასახდელებისა და ასიგნებათა განაწილებით საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ცალკეული განყოფილებებისა და სამმართველოების მიხედვით;

გ) ქალაქის ბიუჯეტში შეტანილ ქალაქის რაიონების ბიუჯეტებს, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტებს;


დ) წინადადებებს ქალაქის რაიონების ბიუჯეტებში, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტებში სახელმწიფო ვადასახდელებისა და შემოსავლების ანარიცხების ოდენობის შესახებ;

ე) წინადადებებს საქალაქო ბიუჯეტის, თითოეული ქალაქის რაიონის, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობის თაობაზე.

**მუხლი 92.** სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოსათვის წარუდგენილ ქალაქის ბიუჯეტს წინასწარ განიხილავენ საქალაქო საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიებში.

**მუხლი 93.** სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიები:

ა) ქალაქის ბიუჯეტის განხილვისას მოისმენენ საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების მოხსენებებს საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შესახებ, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მოხსენებებს ქალაქის რაიონების ბიუჯეტების, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტების შემოსავლისა და გასავლის თაობაზე, აგრეთვე განიხილავენ საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების და ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ შეტანილ წინადადებებს, რომლებიც შეეხება ქალაქის ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის ცვლილებას;



ბ) შეადგენენ და საქალაქო საბჭოს წარუდგენენ დასკვნას ქალაქის ბიუჯეტის შესახებ.

**მუხლი 94.** სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო განიხილავს ქალაქის ბიუჯეტს აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენების, საქალაქო საბჭოს საეკონომიკური და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნისა და თანამოხსენების მიხედვით, აგრეთვე ქალაქის ბიუჯეტის განხილვისას საქალაქო საბჭოს დეპუტატთა მიერ შეტანილ წინადადებებს.

**მუხლი 95.** სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო ამტკიცებს:

ა) ქალაქის ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით, და გასავლის საერთო თანხას, საიდანაც გამოყოფილია ასიგნებანი ადგილობრივი მეთურნების, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, ქალაქის სახელმწიფო ხელი-სუფლებისა და მმართველობის ორგანოების შესანახად;

ბ) საქალაქო ბიუჯეტს;

გ) ქალაქის რაიონების ბიუჯეტებში, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტებში სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ოდენობას;

დ) საქალაქო ბიუჯეტის საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობას.

ქალაქის ბიუჯეტში განისაზღვრება ქალაქის რაიონების ბიუჯეტები, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტები შემოსავლის საერთო თანხითა და გასავლის საერთო თანხით, თითოეული ქალაქის რაიონის, სადაბო, სასოფლო საბჭოს მიხედვით, აგრეთვე ამ ბიუჯეტების საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობა.


**მუხლი 96.** სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ქალაქის ბიუჯეტის დამტკიცებისას შეუძლია გაზარდოს ამ კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში ქალაქისათვის დაწესებული შემოსავლის საერთო თანხა და გასავლის საერთო თანხა საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში ქალაქისათვის გათვალისწინებული სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ანარიტების ოდენობის შეუცვლელად.

**მუხლი 97.** სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილება ქალაქის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ გამოქვეყნდება საყოველთაო გაცნობისათვის.

**მუხლი 98.** რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების შემთხვევაში, რომელთა შესაბამისად ქალაქის ბიუჯეტში შეტანილი ქალაქის რაიონების ბიუჯეტების, სადაბო ან სასოფლო ბიუჯეტების გასავალი იზრდება ან შემოსავალი მცირდება, ქალაქის ბიუჯეტის შესრულების პროცესში ამ ბიუჯეტებს სათანადო სახსრები აღნაზღაურდებათ საქალაქო ბიუჯეტიდან; ქალაქის რაიონების ბიუჯეტების, სასოფლო და სადაბო ბიუჯეტების შემოსავლის გაზრდისას ან გასავლის შემცირებისას სათანადო თანხები გადაეცემა საქალაქო ბიუჯეტს.

**მუხლი 99.** ქალაქის ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებული შემოსავალი, აგრეთვე გასავალზე შემოსავლის გადამეტების თანხები, რომლებიც





წლის ბოლოსათვის წარმოიშობა შემოსავლის გადაჭარბების ან გასავალმეორეული მომჭირნების შედეგად, რჩება ქალაქის განკარგულებაში და სხვა შირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად სახალხო დებუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები მათ მოახმარენ ადგილობრივი მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და სხვა ხარჯების დაფინანსებას, კაპიტალურ დაბანდებათა ჩათვლით.

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებაზე ქალაქის ბიუჯეტის გამოუყენებელ ასიგნებათა ხარჯვის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, სადაბო და სასოფლო ბიუჯეტების სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებაზე გამოუყენებელ ასიგნებათა ვარდა, რომლებიც რჩება სადაბო და სასოფლო საბჭოების განკარგულებაში.

სოციალურ-კულტურული დაწესებულებების ქსელის განვითარების გეგმის შეუსრულებლობის გამო ქალაქის ბიუჯეტის გამოუყენებელ ასიგნებათა ხარჯვის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ვარდა სადაბო და სასოფლო საბჭოების განკარგულებაში დარჩენილი სადაბო და სასოფლო საბჭოების ბიუჯეტების ასიგნებებისა, რომლებიც გამოუყენებელია სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელის განვითარების გეგმის შეუსრულებლობის გამო.

**მუხლი 100.** ქალაქის რაიონების ბიუჯეტების, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტების შესრულებისას დროებითი გეგმური საკასო ვარდევების შემთხვევაში ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების უშუალოდგომლობით, საქალაქო საბჭოს მიერ დადგენილი წესით საქალაქო ბიუჯეტიდან შეიძლება გაიკვეს სესხი, რომელიც უნდა დაიფაროს დადგენილ ვადაში მიმდინარე წლის განმავლობაში.

**მუხლი 101.** სახალხო დებუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ორგანიზაციას უწევს ქალაქის ბიუჯეტის შესრულებას საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების და სხვა განყოფილებებისა და სამმართველოების, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით.

საქალაქო ბიუჯეტი სრულდება საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების მიერ შედგენილი შემოსავლისა და გასავლის განაწერის მიხედვით საქალაქო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად.

**მუხლი 102.** სახალხო დებუტატთა საქალაქო საბჭო აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენების, საქალაქო საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნისა და თანამოხსენების მიხედვით განიხილავს და ამტკიცებს ქალაქის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, რომელშიც შედის საქალაქო ბიუჯეტის, ქალაქის რაიონების, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტების შესრულების ანგარიშები.



**მუხლი 103.** სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილებული ლაქის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ, ვაშლი

### რაიონის, ქალაქის რაიონის ბიუჯეტი

**მუხლი 104.** რაიონის, ქალაქის რაიონის ბიუჯეტი საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის, რაიონული დაყოფის მქონე ქალაქის ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია და უზრუნველყოფს ეკონომიკური და სოციალური განვითარების დარგში იმ ღონისძიებათა საჭირო ფულადი სახსრებით დაფინანსებას, რომლებსაც ახორციელებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, ქალაქის რაიონული საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი.

**მუხლი 105.** რაიონის ბიუჯეტი აერთიანებს რაიონულ ბიუჯეტს, რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტებს, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტებს.

იმ შემთხვევაში, როდესაც დაბები და სოფლის დასახლებული პუნქტები ადმინისტრაციულად სახალხო დეპუტატთა ქალაქის რაიონულ საბჭოს ექვემდებარება, სადაბო და სასოფლო ბიუჯეტები გაერთიანდება ქალაქის რაიონის ბიუჯეტში.

**მუხლი 106.** რაიონის ბიუჯეტში შედის შემოსავლები:

- ა) გადასახდელები სახელმწიფო საწარმოებისა და ადგილობრივი დაქვემდებარების სამეურნეო ორგანიზაციების მოგებიდან;
- ბ) სახელმწიფო ბაჟი, კინოფილმების დემონსტრაციის შემოსავლიდან გადასახადი, ადგილობრივი გადასახადები;
- გ) სხვა შემოსავლები, რომლებიც შედის რაიონის ბიუჯეტში საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 107.** რაიონის, ქალაქის რაიონის ბიუჯეტს, ამ კანონის 106-ე მუხლში გათვალისწინებული შემოსავლის გარდა, გადაეცემა ბრუნვის გადასახადის, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან საშემოსავლო გადასახადის, რომელსაც იხდიან მათი ადგილობრივი ორგანოები და მათდამი დაქვემდებარებული საწარმოები და ორგანიზაციები, სატყეო შემოსავლის, კოლმეურნეობებიდან საშემოსავლო გადასახადის, მოსახლეობიდან საშემოსავლო გადასახადის, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის და სხვა სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ანარიცხები საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში, ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში, ავტონომიური ოლქის ბიუჯეტში, რაიონული დაყოფის მქონე ქალაქის ბიუჯეტში გათვალისწინებული ოდენობით.

**მუხლი 108.** რაიონის ბიუჯეტში შედის ხარჯები:

ა) ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების დასაფინანსებლად;

ბ) იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებსაც ახორციელებენ ადგილობრივი დაქვემდებარების დაწესებულებები და ორგანიზაციები განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის დარგში;

გ) რაიონის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შესანახად;

დ) სხვა ღონისძიებებისათვის, რომლებიც საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად რაიონის ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

**მუხლი 109.** რაიონის ბიუჯეტში, გათვალისწინებული ხარჯების გარდა, დასაგეგმავი წლის დასაწყისისათვის აღნიშნული ბიუჯეტის სახსრების ნაშთის ანგარიშზე იქმნება საკასო საბრუნავი სახსრები. საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობა განისაზღვრება რაიონის ბიუჯეტის დამტკიცებისას.

საკასო საბრუნავი სახსრები წლის განმავლობაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დროებითი საკასო ვარდევის დასაფარავად და იმავე წელს უნდა აღდგეს ბიუჯეტის დამტკიცებისას დადგენილ ოდენობამდე.

**მუხლი 110.** რაიონის ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის გამიჯვნას რაიონულ ბიუჯეტსა, რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტებს, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტებს შორის განსაზღვრავს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

**მუხლი 111.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების, ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის შედგენის დადგენილი წესისა და ვადების შესაბამისად სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ, ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში შესაბამისად შეტანილ დასაგეგმავი წლის მაჩვენებელთა საფუძველზე შეადგენს რაიონის ბიუჯეტის პროექტს.

**მუხლი 112.** სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ რაიონული ბიუჯეტის პროექტის შედგენის წესისა და ვადების შესაბამისად:

ა) რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილება სხვა განყოფილებებისა და სამმართველოების მონაწილეობით რაიონის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქების, დაბების, სასოფლო საბჭოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების პროექტების საფუძველზე შეიმუშავებს რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტების ძირითად მაჩვენებლებს და რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დავალებით გააცნობს მათ საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების), სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ



კომიტეტებს რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტების პროექტების შესადგენად;

ბ) რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის პროექტით გათვალისწინებულ დავალებათა საფუძველზე შეადგენენ საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების პროექტებს და წარუდგენენ რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს რაიონული ბიუჯეტის პროექტის შესადგენად;

გ) რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილება წინასწარ განიხილავს;

საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების), სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წინადადებებსა და შენიშვნებს რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტების ძირითად მაჩვენებელთა შესახებ მათი წარმომადგენლების მონაწილეობით;

რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების საფინანსო გეგმების და ხარჯთაღრიცხვების პროექტებს მათი წარმომადგენლების მონაწილეობით.


აღნიშნული პროექტების, წინადადებებისა და შენიშვნების განხილვის შემდეგ რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილება: შეადგენს რაიონული ბიუჯეტის პროექტს;

რაიონული ბიუჯეტის პროექტისა და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტების მაჩვენებელთა საფუძველზე შეადგენს რაიონის ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

**მუხლი 113.** სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს რაიონის ბიუჯეტის პროექტს, რომელიც შედგენილია საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით, ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტით, ავტონომიური ოლქის ბიუჯეტით რაიონის ბიუჯეტისათვის გათვალისწინებული მაჩვენებლების შესაბამისად, და რაიონულ საბჭოს წარუდგენს:

ა) რაიონის ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით, და გასავლის საერთო თანხას, საიდანაც გამოყოფილია ასიგნებანი ადგილობრივი მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რაიონის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შესანახად;

ბ) რაიონულ ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით, და გასავლის საერთო თანხას, საიდანაც გამოყოფილია ასიგნებანი ადგილობრივი მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შესანახად, რომლებიც დაფინანსდება რაიონული ბიუჯეტიდან, აგრეთვე ბიუჯეტში გადასახდელებისა და ასიგნება-



თა განაწილებით რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების მიხედვით;

გ) რაიონის ბიუჯეტში შეტანილი რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტებს, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტებს;

დ) წინადადებებს რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტებში, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტებში სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ანარიცხების ოდენობის შესახებ;

ე) წინადადებებს რაიონული ბიუჯეტის, თითოეული რაიონული დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტის, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობის თაობაზე.

**მუხლი 114.** სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოსათვის წარდგენილ რაიონის ბიუჯეტს წინასწარ განიხილავენ რაიონული საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიებში.

**მუხლი 115.** სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიები:

ა) რაიონის ბიუჯეტის განხილვისას მოისმენენ რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების მოხსენებებს საფინანსო გეგმების და ხარჯთაღრიცხვების შესახებ, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების), სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მოხსენებებს ქალაქების ბიუჯეტების, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტების შემოსავლისა და გასავლის თაობაზე, აგრეთვე განიხილავენ რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების), სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ შეტანილ წინადადებებს, რომლებიც შეეხება რაიონის ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის ცვლილებას;

ბ) შეადგენენ და რაიონულ საბჭოს წარუდგენენ დასკვნას რაიონის ბიუჯეტის შესახებ.

**მუხლი 116.** სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო რაიონის ბიუჯეტს განიხილავს აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენების, საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნისა და თანამოხსენების მიხედვით, აგრეთვე რაიონის ბიუჯეტის განხილვისას რაიონული საბჭოს დეპუტატთა მიერ შეტანილ წინადადებებს.

**მუხლი 117.** სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო ამტკიცებს:

ა) რაიონის ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით, და გასავლის საერთო თანხას, საიდანაც გამოყოფილია ასიგნებანი ადგილობრივი მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რაიონის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შესანახად;

ბ) რაიონულ ბიუჯეტს;

გ) რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტებში, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტებში სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ანარიცხების ოდენობას;



დ) რაიონული ბიუჯეტის საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობის რაიონის ბიუჯეტში განისაზღვრება რაიონული დაქვემდებარების ბიუჯეტები, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტები შემოსავლის საერთო თანხითა და გასავლის საერთო თანხით თითოეული ქალაქის, სადაბო, სასოფლო საბჭოს მიწედვით, აგრეთვე ამ ბიუჯეტების საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობა.

**მუხლი 118.** სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოს რაიონის ბიუჯეტის დამტკიცებისას შეუძლია გაზარდოს ამ კანონის 21-ე, 72-ე და 95-ე მუხლების შესაბამისად საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში, ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში, ავტონომიური ოლქის ბიუჯეტში, რაიონული დაყოფის მქონე ქალაქის ბიუჯეტში რაიონის ბიუჯეტისათვის დაწესებული შემოსავლის საერთო თანხა და გასავლის საერთო თანხა საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში, ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში, ავტონომიური ოლქის ბიუჯეტში, რაიონული დაყოფის მქონე ქალაქის ბიუჯეტში რაიონისათვის გათვალისწინებული სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ანარქიციების ოდენობის შეუცვლელად.

**მუხლი 119.** სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს გადაწყვეტილება რაიონის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ გამოქვეყნდება საყოველთაო გაცნობისათვის.

**მუხლი 120.** რაიონის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების შემთხვევაში, რომელთა შესაბამისად საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების), სადაბო და სასოფლო ბიუჯეტების გასავალი იზრდება ან შემოსავალი მცირდება, რაიონის ბიუჯეტის შესრულების პროცესში ამ ბიუჯეტებს სათანადო სახსრები აღუნაღაურდებათ რაიონის ბიუჯეტიდან; ქალაქების (რაიონული დაქვემდებარების), სადაბო და სასოფლო ბიუჯეტების გასავლის შემცირებისას ან შემოსავლის გაზრდისას შესაბამისი თანხები გადაეცემა რაიონულ ბიუჯეტს.

**მუხლი 121.** რაიონის ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებული შემოსავალი, აგრეთვე გასავალზე შემოსავლის გადაძებების თანხები, რომლებიც წლის ბოლოსათვის წარმოიშობა შემოსავლის გადაჭარბების ან გასავალში გაწეული მომჭირნეობის შედეგად, რჩება რაიონის განკარგულებაში და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები მათ მოახმარენ ადგილობრივი მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და სხვა ხარჯების დაფინანსებას, კაპიტალურ დაბანდებათა ჩათვლით.

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებაზე რაიონის ბიუჯეტის გამოუყენებელ ასიგნებათა ხარჯვის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, გარდა სადაბო და სასოფლო ბიუჯეტების სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებაზე

გამოუყენებელი ასიგნებებისა, რომლებიც სადაბო და სასოფლო საბჭოების განკარგულებაში რჩება.

სოციალურ-კულტურული დაწესებულებების ქსელის განვითარების გეგმის შეუსრულებლობის გამო რაიონის ბიუჯეტის გამოუყენებელ ასიგნებათა ხარჯვის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, გარდა სადაბო და სასოფლო საბჭოების განკარგულებაში დარჩენილი სადაბო და სასოფლო საბჭოების ბიუჯეტების ასიგნებებისა, რომლებიც გამოუყენებელია სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელის განვითარების გეგმის შეუსრულებლობის გამო.

**მუხლი 122.** რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტების შესრულებისას დროებითი გეგმური საკასო გარღვევის შემთხვევაში სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების), სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შუამდგომლობით, რაიონული საბჭოს მიერ დადგენილი წესით რაიონული ბიუჯეტიდან შეიძლება გაიცეს სესხი, რომელიც უნდა დაიფაროს დადგენილ ვადაში მიმდინარე წლის განმავლობაში.

**მუხლი 123.** სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ორგანიზაციას უწევს რაიონის ბიუჯეტის შესრულებას რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების და სხვა განყოფილებებისა და სამმართველოების, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების), სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით.

რაიონული ბიუჯეტი სრულდება რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების მიერ შედგენილი შემოსავლისა და გასავლის განწერის მიხედვით რაიონული საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად.

**მუხლი 124.** სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენების, საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნისა და თანამოხსენების მიხედვით განიხილავს და ამტკიცებს რაიონის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, რომელშიც შედის რაიონული ბიუჯეტის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტების შესრულების ანგარიშები.

**მუხლი 125.** ქალაქის რაიონის ბიუჯეტის შედგენა, განხილვა, დამტკიცება და შესრულება ხორციელდება ამ კანონის 106-124-ე მუხლებში გათვალისწინებულ დებულებათა შესაბამისად.

**მუხლი 126.** რაიონული საბჭოს გადაწყვეტილება რაიონის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ გამოქვეყნდება საყოველთაო განხილვისათვის.



## კ ა რ ი VIII

**რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკის), საოლქო (ავტონომიური ოლქის) და რაიონული დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტი**

**მუხლი 127.** რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკის), საოლქო (ავტონომიური ოლქის) და რაიონული დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტი შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური ოლქის ან რაიონის ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია და უზრუნველყოფს ეკონომიკური და სოციალური განვითარების დარგში იმ ღონისძიებათა სპორადი ფულადი სახსრებით დაფინანსებას, რომლებსაც ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი.

იმ შემთხვევაში, როდესაც დაბები და სოფლის დასახლებული პუნქტები ადმინისტრაციულად საქალაქო საბჭოს ექვემდებარება, სადაბო და სასოფლო ბიუჯეტები გაერთიანდება ქალაქის ბიუჯეტში.

**მუხლი 128.** ქალაქის ბიუჯეტში შედის შემოსავლები:

ა) გადასახდელები სახელმწიფო საწარმოებისა და ადგილობრივი დაქვემდებარების სამეურნეო ორგანიზაციების მოგებიდან;

ბ) სახელმწიფო ბაჟი, კინოფილმების დემონსტრაციის შემოსავლიდან გადასახადი, ადგილობრივი გადასახადები;

გ) სხვა შემოსავლები, რომლებიც შედის ქალაქის ბიუჯეტში საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 129.** ქალაქის ბიუჯეტს, ამ კანონის 128-ე მუხლში გათვალისწინებული შემოსავლის გარდა, გადაეცემა ბრუნვის გადასახადის, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან საშემოსავლო გადასახადის, მოსახლეობიდან საშემოსავლო გადასახადის, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის და სხვა სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ანარქიები შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში, ავტონომიური ოლქის ბიუჯეტსა და რაიონის ბიუჯეტში გათვალისწინებული ოდენობით.

**მუხლი 130.** ქალაქის ბიუჯეტში შედის ხარჯები:

ა) ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების დასაფინანსებლად;

ბ) იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებსაც ახორციელებს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის დარგში;

გ) ქალაქის სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ორგანოების შესანახად;

დ) სხვა ღონისძიებებისათვის, რომლებიც საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად დაფინანსდება ქალაქის ბიუჯეტიდან.

**მუხლი 131.** ქალაქის ბიუჯეტში, გათვალისწინებული ხარჯების გარდა, დასაგეგმავი წლის დასაწყისისათვის აღნიშნული ბიუჯეტის სახსრების ნაშთის



ანგარიშზე იქმნება საკასო საბრუნავი სახსრები. საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობა განისაზღვრება ქალაქის ბიუჯეტის დამტკიცებისას.

საკასო საბრუნავი სახსრები წლის განმავლობაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დროებითი საკასო გარღვევის დასაფარავად და იმავე წელს უნდა აღდგეს ბიუჯეტის დამტკიცებისას დადგენილ ოდენობამდე.

**მუხლი 132.** სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, რაიონის, ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების პროექტებში შეტანილ დასავეგმი წლის მაჩვენებელთა, საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების საფინანსო გეგმების, საბიუჯეტო დაწესებულებათა შემოსავლის გეგმებისა და გასავლის ხარჯთაღრიცხვების პროექტების საფუძველზე შეადგენს ქალაქის ბიუჯეტის პროექტს.

**მუხლი 133.** სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილი ქალაქის ბიუჯეტის პროექტის შედგენის წესისა და ვადების შესაბამისად:

ა) საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დასავეგმავი წლის გეგმის პროექტით გათვალისწინებულ დავალებათა საფუძველზე შეადგენენ საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების პროექტებს და წარუდგენენ საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს საქალაქო ბიუჯეტის პროექტის შესადგენად;


ბ) საფინანსო განყოფილება წინასწარ განიხილავს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების პროექტებს მათი წარმომადგენლების მონაწილეობით, შეადგენს ქალაქის ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

იმ ქალაქებში, სადაც არ არის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილება, ბიუჯეტების პროექტებს უშუალოდ შეადგენენ სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

**მუხლი 134.** სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს ქალაქის ბიუჯეტის პროექტს, რომელიც შედგენილია ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში, ავტონომიური ოლქის ბიუჯეტში, რაიონის ბიუჯეტში ქალაქის ბიუჯეტისათვის გათვალისწინებული მაჩვენებლების შესაბამისად, და საქალაქო საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად:

ქალაქის ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას შემოსავლის წყაროების გამოყოფით, და გასავლის საერთო თანხას, საიდანაც გამოყოფილია ასიგნებანი ქალაქის ადგილობრივი მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, ქალაქის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შესანახად;

წინადადებებს ქალაქის ბიუჯეტის საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობის შესახებ.



**მუხლი 135.** სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოსათვის ქალაქის ბიუჯეტს წინასწარ განიხილავენ საქალაქო საბჭოს სავეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიებში.

**მუხლი 136.** სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სავეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიებში:

ა) ქალაქის ბიუჯეტის განხილვისას მოისმენენ ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებებს მათი საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შესახებ, აგრეთვე განიხილავენ მათ მიერ შეტანილ წინადადებებს, რომლებიც შეეხება ქალაქის ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის ცვლილებას;

ბ) შეადგენენ და საქალაქო საბჭოს წარუდგენენ დასკვნას ქალაქის ბიუჯეტის შესახებ.

**მუხლი 137.** სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო განიხილავს ქალაქის ბიუჯეტს აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენების, საქალაქო საბჭოს სავეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნისა და თანამოხსენების მიხედვით, აგრეთვე განიხილავს საქალაქო საბჭოს დეპუტატთა მიერ ქალაქის ბიუჯეტის განხილვისას შეტანილ წინადადებებს.

**მუხლი 138.** სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო ამტკიცებს:

ა) ქალაქის ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას შემოსავლის წყაროების გამოყოფით, და გასავლის საერთო თანხას, საიდანაც გამოყოფილია ასიგნებანი ქალაქის ადგილობრივი მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, ქალაქის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შესანახად;

ბ) ქალაქის ბიუჯეტის საკასო საბრუნავი თანხების ოდენობას.

**მუხლი 139.** სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ქალაქის ბიუჯეტის დამტკიცებისას შეუძლია გაზარდოს ამ კანონის შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში, ავტონომიური ოლქის ბიუჯეტსა და რაიონის ბიუჯეტში ქალაქისათვის დაწესებული შემოსავლის საერთო თანხა და გასავლის საერთო თანხა ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში, ავტონომიური ოლქის ბიუჯეტსა ან რაიონის ბიუჯეტში ქალაქის ბიუჯეტისათვის გათვალისწინებული სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ანარიცხვების ოდენობის შეუცვლელად.

**მუხლი 140.** სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილება ქალაქის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ გამოქვეყნდება საყოველთაო გაცნობისათვის.

**მუხლი 141.** ქალაქის ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებული შემოსავალი, აგრეთვე გასავალზე შემოსავლის გადამეტების თანხები, რომლებიც წლის ბოლოსათვის წარმოიშობა შემოსავლის გადაჭარბების ან გასავალში გაწეული მომპირნეობის შედეგად, რჩება ქალაქის განკარგულებაში და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მათ მიახმარს



ადგილობრივი მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და ხარჯების დაფინანსებას, კაპიტალურ დაბანდებათა ჩათვლით.

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებაზე ქალაქის ბიუჯეტის გამოუყენებელ ასიგნებათა ხარჯის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

სოციალურ-კულტურული დაწესებულებების ქსელის განვითარების გეგმის შეუსრულებლობის გამო ქალაქის ბიუჯეტის გამოუყენებელ ასიგნებათა ხარჯის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

**მუხლი 142.** სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ორგანიზაციას უწყევს ქალაქის ბიუჯეტის შესრულებას აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილებისა და სხვა განყოფილებების მეშვეობით.

იმ ქალაქებში, სადაც არ არის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილება, ქალაქის ბიუჯეტს უშუალოდ შეასრულებს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

**მუხლი 143.** სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენების, საქალაქო საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნისა და თანამოხსენების მიხედვით განიხილავს და ამტკიცებს ქალაქის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.

**მუხლი 144.** საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილება ქალაქის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ გამოქვეყნდება საყოველთაო გაცნობისათვის.

## პ ა რ ო IX


### სადაბო, სასოფლო ბიუჯეტი

**მუხლი 145.** სადაბო, სასოფლო ბიუჯეტი რაიონის ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია და უზრუნველყოფს ეკონომიკური და სოციალური განვითარების დარგში იმ ღონისძიებათა საჭირო ფულადი სახსრებით დაფინანსებას, რომლებსაც ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი.

იმ შემთხვევაში, როდესაც დაბები და სოფლის დასახლებული პუნქტები ადმინისტრაციულად საქალაქო ან ქალაქის რაიონულ საბჭოს ექვემდებარება, სადაბო და სასოფლო ბიუჯეტები გაერთიანდება შესაბამისად ქალაქის ბიუჯეტში ან ქალაქის რაიონის ბიუჯეტში.

**მუხლი 146.** სადაბო, სასოფლო ბიუჯეტში შედის შემოსავლები:

ა) გადასახდლები სახელმწიფო საწარმოებისა და ადგილობრივი დაქვემდებარების სამეურნეო ორგანიზაციების მოგებიდან;



ბ) სახელმწიფო ბაჟი, კინოფილმების დემონსტრაციის შემოსავლიდან გადასახადი, ადგილობრივი გადასახადები;

გ) სხვა შემოსავლები, რომლებიც შედის სადაბო, სასოფლო-სამეურნეო საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 147.** სადაბო, სასოფლო ბიუჯეტს, ამ კანონის 146-ე მუხლში გათვალისწინებული შემოსავლის გარდა, გადაეცემა ბრუნვის გადასახადის, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან საშემოსავლო გადასახადის, სატყეო შემოსავლის, კოლმეურნეობებიდან საშემოსავლო გადასახადის, მოსახლეობიდან საშემოსავლო გადასახადის, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის და სხვა სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ანარიცხები რაიონის ბიუჯეტში გათვალისწინებული ოდენობით.

**მუხლი 148.** სადაბო, სასოფლო ბიუჯეტში შედის ხარჯები:

ა) ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების დასაფინანსებლად;

ბ) იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებსაც სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭო ახორციელებს განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის დარგში;

გ) სადაბო, სასოფლო საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის შესახად;

დ) სხვა ღონისძიებებისათვის, რომლებიც საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად დაფინანსდება სადაბო, სასოფლო ბიუჯეტიდან.


**მუხლი 149.** სადაბო, სასოფლო ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯების გარდა, დასავეგმავი წლის დასაწყისისათვის აღნიშნული ბიუჯეტის სახსრების ნაშთის ანგარიშზე იქმნება საკასო საბრუნავი სახსრები. საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობა განისაზღვრება სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის დამტკიცებისას.

საკასო საბრუნავი სახსრები წლის განმავლობაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დროებითი საკასო გარღვევების დასაფარავად და იმავე წელს უნდა აღდგეს ბიუჯეტის დამტკიცებისას დადგენილ ოდენობამდე.

**მუხლი 150.** სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი რაიონის, დაბის, სასოფლო საბჭოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების პროექტებში შეტანილ დასავეგმავი წლის მაჩვენებელთა, საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების საფინანსო გეგმების პროექტების, საბიუჯეტო დაწესებულებათა შემოსავლისა და გასავლის ხარჯთაღრიცხვების საფუძველზე შეადგენს სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის პროექტს.

**მუხლი 151.** სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის პროექტს, რომელიც შედგენილია რაიონის ბიუჯეტში სადაბო, სასოფლო ბიუჯეტისათვის გათვალისწინებული მაჩვენებლების შესაბამისად, და სადაბო, სასოფლო საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად:

სადაბო, სასოფლო საბჭოს ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას შემოსავლის წყაროების გამოყოფით, და გასავლის საერთო თან-



ხას, საიდანაც გამოყოფილია ასიგნებანი ადგილობრივი მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, სადაბო, სასოფლო-სამეურნეო და მისი აღმასრულებელი კომიტეტის შესანახად;

წინადადებებს სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობის შესახებ.

**მუხლი 152.** სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოსათვის წარდგენილ სადაბო, სასოფლო ბიუჯეტს წინასწარ განიხილავენ სადაბო, სასოფლო საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივ კომისიებში.

**მუხლი 153.** სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიები:

ა) სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის განხილვისას მოისმენენ ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებებს მათი საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შესახებ, აგრეთვე განიხილავენ მათ მიერ შეტანილ წინადადებებს, რომლებიც შეეხება სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის ცვლილებას;

ბ) შეადგენენ და სადაბო, სასოფლო საბჭოს წარუდგენენ დასკვნას სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის შესახებ.

**მუხლი 154.** სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭო განიხილავს სადაბო, სასოფლო ბიუჯეტს აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენების, სადაბო, სასოფლო საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნისა და თანამოხსენების მიხედვით, აგრეთვე სადაბო, სასოფლო საბჭოს დეპუტატთა მიერ სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის განხილვისას შეტანილ წინადადებებს.


**მუხლი 155.** სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭო ამტკიცებს:

ა) სადაბო, სასოფლო ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას შემოსავლის წყაროების გამოყოფით, და გასავლის საერთო თანხას, საიდანაც გამოყოფილია ასიგნებანი ადგილობრივი მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, სადაბო, სასოფლო საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის შესანახად;

ბ) სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობას.

**მუხლი 156.** სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის დამტკიცებისას შეუძლია ვაზარდოს ამ კანონის 117-ე მუხლის შესაბამისად რაიონის ბიუჯეტში სადაბო, სასოფლო საბჭოსათვის დაწესებული შემოსავლის საერთო თანხა და გასავლის საერთო თანხა რაიონის ბიუჯეტში სადაბო, სასოფლო საბჭოსათვის გათვალისწინებული სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ანარიცხების ოდენობის შეუცვლელად.

**მუხლი 157.** სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებული შემოსავალი, აგრეთვე გასავალზე შემოსავლის გადამტების თანხები, რომლებიც წლის ბოლოსათვის წარმოიშობა შემოსავლის გადაჭარბების ან გასავალში გაწეული მომპირნეობის შედეგად, რჩება დაბის, სასოფლო საბჭოს განკარგულებაში და სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ-



ლი კომიტეტი მათ მოახმარს ადგილობრივი მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და სხვა ხარჯების დაფინანსებას, კაპიტალურ დახარჯებათა ჩათვლით.

**მუხლი 158.** სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი უშუალოდ ასრულებს სადაბო, სასოფლო ბიუჯეტს.

**მუხლი 159.** სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს გადაწყვეტილება სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ გამოქვეყნდება საყოველთაო გაცნობისათვის.

**მუხლი 160.** სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭო აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენების, სადაბო, სასოფლო საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნისა და თანამოხსენების მიხედვით განიხილავს და ამტკიცებს სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.

**მუხლი 161.** სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს გადაწყვეტილება სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ გამოქვეყნდება საყოველთაო გაცნობისათვის.

**მუხლი 162.** იმ შემთხვევაში, როდესაც დაბები და სოფლის დასახლებული პუნქტები ადმინისტრაციულად სახალხო დეპუტატთა საქალაქო ან ქალაქის რაიონულ საბჭოს ექვემდებარება, სადაბო, სასოფლო ბიუჯეტები შედგება, განიხილება, დამტკიცდება და შესრულდება ამ კანონის 146-161-ე მუხლებში გათვალისწინებულ დებულებათა შესაბამისად.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

## 414 საქართველოს სსრ წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ცვლილება-გეგმისა და დამატებების შემთხვევაში შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრების დროს ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1985 წლის 25 აპრილისა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;

1985 წლის 24 მაისისა „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, არაყის შინ გამოხდის აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“;



1985 წლის 27 მაისისა „საზაფხულო საბაღე სახლების მშენებლობის, აგრეთვე კოლექტიური მეზაღეობის ორგანიზაციისა და გაძღოლის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“;

1985 წლის 25 ივნისისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ“;

1985 წლის 1 ივლისისა „ნასვამ მდგომარეობაში ჩადენილი მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“;

1985 წლის 25 ივლისისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“;

1985 წლის 9 აგვისტოსი „წყალქვეშ სანადირო თოფების შექმნის, გაყიდვის, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და გამოყენების წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“;

1985 წლის 15 აგვისტოსი „საქართველოს სს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი სადაბო, სასოფლო, ქუჩის, უბნის, სახლის კომიტეტების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“;

1985 წლის 26 აგვისტოსი „საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“;

1985 წლის 3 სექტემბრისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში დებულებათა და დებულებათა საგუშაგოების დებულების დამტკიცების შესახებ“;

1985 წლის 30 სექტემბრისა „საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“;

1985 წლის 16 ოქტომბრისა „ამხანაგური სასამართლოების და ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოების შესახებ დებულებებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“;

1985 წლის 16 ოქტომბრისა „საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“;

1985 წლის 19 ნოემბრისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატებათა შეტანის შესახებ“;

1985 წლის 21 ნოემბრისა „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ“;

1985 წლის 21 ნოემბრისა „საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 7 დეკემბერი.

№ 44—XI ს



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების თაობაზე

**415** „აშხ. ნ. ა. ჰითანავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 19 სექტემბრის ბრძანებულება აშხ. ნოდარ ამროსის ძე ჰითანავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 7 დეკემბერი.

№ 45—XI ს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

**416** „აშხ. გ. ა. ანჩაბაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 19 სექტემბრის ბრძანებულება აშხ. გივი ალექსის ძე ანჩაბაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.


საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 7 დეკემბერი.

№ 46—XI ს



## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დაღმინილება



**417** „ამს. ო. ე. ჩერქაზის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კირველ გოაღგილედ დანიშვნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო  
ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 19 სექტემბრის ბრძანებულება ამხ. ოთარ ევტიხის ძე ჩერქეზიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშვნისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ვილახვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 7 დეკემბერი.

№ 47—XI ს

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დაღმინილება

**418** „ამს. ბ. დ. მახარაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გოაღგილედ დანიშვნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო  
ადგენს:


დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 19 სექტემბრის ბრძანებულება ამხ. ბეგლარ დიმიტრის ძე მახარაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ვილახვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 7 დეკემბერი.

№ 48—XI ს



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგინილება

**419** „ამხ. ო. ზ. მელქაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 19 სექტემბრის ბრძანებულება ამხ. ოთარ ვალერიანის ძე მელქაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნისა და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 7 დეკემბერი.

№ 49—XI ს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგინილება

**420** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალი ცალკეული პირების თანამდებობაზე დანიშვნისა და განსაკუთრებული პირების თანამდებობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1985 წლის 11 მაისისა ამხ. ზურაბ აკაკის ძე ლაბახუას საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1985 წლის 7 აგვისტოსი თეიმურაზ გიორგის ძე ბაღურაშვილის საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ;

1985 წლის 27 აგვისტოსი ამხ. გიორგი პავლეს ძე გამცემლიძის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ პირადი თხოვნის თანახმად;

1985 წლის 27 აგვისტოსი ამხ. ბელა ზაქარიას ასული მაყაშვილის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრად დანიშვნისა და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ;

1985 წლის 27 აგვისტოსი ამხ. ვალერი როსტომის ძე ასათიანის საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1985 წლის 30 აგვისტოსი ამხ. თენგიზ პავლეს ძე გელეიშვილის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ;

1985 წლის 3 სექტემბრისა ამხ. კონსტანტინე თეიმურაზის ძე სალიას საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1985 წლის 10 სექტემბრისა ამხ. თეიმურაზ შალვას ძე ხაჩიძის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1985 წლის 19 სექტემბრისა ამხ. ნუგზარ რაქდენის ძე საჯიას საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1985 წლის 5 დეკემბრისა ამხ. მერაბ მუსას ძე ქაჯიას საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 7 დეკემბერი.

№ 50—XI ს

საპარტიველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

**421** „საპარტიველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლოგაფი ცვლილებაგის შესახებ“ საპარტიველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაგის დამტკიცების თაობაგა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:


დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 18 ნოემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 7 დეკემბერი.

№ 51—XI ს



## 422 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეკრეტების ჯ. ი. გუგუ- ჩიას, ა. ზ. ლოლიჯაშვილის, ჯ. ნ. გაბრიელიანის, პ. ს. კულიკო- ვის მიერ შეკითხვის წესით დაყენებული საკითხის გამო

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო  
ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავ-  
მჯდომარის მოადგილის, დეპუტატ ვ. ი. ვადაჭკორიას ინფორმაცია დეპუტატე-  
ბის ჯ. ი. გუგუჩიას, ა. ზ. ლოლიჯაშვილის, ჯ. ნ. გაბრიელიანის, პ. ს. კულიკო-  
ვის მიერ შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხთან დაკავშირებით.

2. საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარმა სა-  
წარმოო სამმართველომ:

— ქმედითი ზომები მიიღოს საქართველოს ზემდგომი ორგანოების გადა-  
წყვეტილებათა განუხრელად შესასრულებლად;

— განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სასოფლო-სამეურნეო საწარ-  
მოთა ელექტროენერჯით მომარაგების გაუმჯობესებას, სასოფლო-სამეურნეო  
დანიშნულების ელექტროქსელების ექსპლუატაციისა და სარემონტო მომსა-  
ხურების ღონის ამოღებას, ადგილებზე სარემონტო-საწარმოო ბაზების შექმნას.

3. საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარმა სა-  
წარმოო სამმართველომ საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების  
სახელმწიფო კომიტეტთან ერთად შეუთავსოს გარე ელექტრომომარაგების ობი-  
ექტების დააგეგმარების, დაპროექტებისა და მშენებლობის ვადები სასოფლო-  
სამეურნეო ობიექტების მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის  
ვადებს.

4. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო  
კომიტეტმა:

— დააჩქაროს თავის ბალანსზე არსებული 6-10-0,4 კილოვოლტი ძაბვის  
ელექტროგადამცემი ხაზების გადაცემა საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და  
ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველოს ბალანსზე (ტექნოლო-  
გიური დანიშნულების ელექტროგადამცემი ხაზების გარდა);

— საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარ სა-  
წარმოო სამმართველოსთან ერთად შეიმუშაოს სოფლის ელექტრიფიკაციის  
გენერალური სქემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სოფლის ელექტ-  
რიფიკაციის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი.

5. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კო-  
მიტეტმა და საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელ-  
მწიფო კომიტეტმა მიიღონ ზომები რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო საწარ-  
მოების ელექტრომომარაგებასა და მარაგანწილებით უზრუნველსაყოფად:

6. საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა გააძლიეროს კონტროლი რესპუბლიკაში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების, აამაღლოს საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა ამ საქმისათვის.

7. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა, აგროსამრეწველო გაერთიანებებმა მკაცრი კონტროლი დააწესონ მათს ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მიერ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიურად ხარჯვისადმი, პერიოდულად მოისმინონ ხელმძღვანელთა ინფორმაციები ამ საკითხზე და დასაზონ ღონისძიებანი აღნიშნული რესურსების უფრო ყაირათიანად და ეფექტიანად გამოყენებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშვარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 7 დეკემბერი.

№ 37—XI ს

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგინილება

### 423 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

#### განთავისუფლდნენ დეპუტატები:

ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილი — საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან;

ბეგლარ დიმიტრის ძე მანარაშვილი — ენერგეტიკის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან;

ნუგზარ რაუდენის ძე საჯაია — საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

#### არჩეულ იქნენ დეპუტატები:

გივი გრიგოლის ძე გუმბარიძე — საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარედ;



გივი ალექსის ძე **ანჩაბაძე** — მრეწველობის კომისიის თავმჯდომარე  
 ომარ ნიკოლოზის ძე **მარგალიტაძე** — ენერგეტიკის კომისიის თავმჯდომარე  
 მარედ;  
 რამაზ გრიგოლის ძე **ჩხიკვაძე** — საკანონმდებლო განზრახულობათა  
 კომისიის წევრად;  
 დავით თენგიზის ძე **სავანელი** — აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიის  
 წევრად;  
 სტეფანე ბაგრატიის ძე **სტეფანიანი** — აგროსამრეწველო კომპლექსის კო-  
 მისიის წევრად;  
 გიორგი პაღეს ძე **გამცემლიძე** — მრეწველობის კომისიის წევრად;  
 ივერი ვარლამის ძე **ფრანგიშვილი** — მეცნიერებისა და ტექნიკის კო-  
 მისიის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 7 დეკემბერი.

№ 52—XII

### ბანყოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**424** მადლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობისას გამოჩენილი გამბედაობის, მამაცობისა და თავგან-  
 წირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედ-  
 ლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოვდნენ:

ქურდიე ალექსანდრე ჯემალის ძე — აჭარის ასსრ ხე-ტყის მეურნეობის  
 მინისტრის მოადგილე.

ხიმშიაშვილი იოსებ რიზას ძე — საქართველოს კომპარტიის ხულოს რაი-  
 ონული კომიტეტის მეორე მდივანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 3 დეკემბერი.

№ 487—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 425 რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სისტემაში მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

**გელდიევი** აქსენტი ნიკოლოზის ძე — ცხინვალის ხე-ტყის კომბინატის მძღოლი.

**გრიგოლია** ბიძინა ყარამანის ძე — სამტრედიის ხის დამამუშავებელი კომბინატის მეჩარხე.

**მაკეივა** ვალენტინა არტემის ასული — თბილისის ავეჯის დეტალების კომბინატის მხეხავი.

**სამხარაძე** ვასილ პეტრეს ძე — ბათუმის ხის დამამუშავებელი კომბინატის მწნეხავი.

**სოლოლაშვილი** ომარ ზაქარიას ძე — თბილისის № 3 ავეჯის ფაბრიკის მეჩარხე.

**ტრიპოლსკი** ვიქტორ პავლეს ძე — საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მემონტაჟე.

**ქუთელია** ნინუცა ნოეს ასული — გულრიფშის რაიონის ბაბუშერის ხის დამამუშავებელი კომბინატის მუშა.

**შარაბიძე** საადეტ ალის ასული — ბათუმის ბამბუკის ავეჯის ფაბრიკის მომპირკეთებელი.


**ხაჩიძე** დიმიტრი არჩილის ძე — ორჯონიკიძის რაიონის მარელისის ავეჯის ფაბრიკის ამწყობი.

**ჯანელიძე** ნინო ალექსანდრეს ასული — ქუთაისის ავეჯის კომბინატის მუშა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშვარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 4 დეკემბერი.



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 426 რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველოური მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებაების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭეთ საპატიო წოდება:

### „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

**დუნდუას** პეტრე ბესარიონის ძეს — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მერქნის“ გენერალურ დირექტორს.

**შვანგირაძეს** გივი ვლადიმერის ძეს — თბილისის საწარმოო-საავეჯო გაერთიანება „განთიადის“ ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროს ოსტატს.  
**ჯანაშიას** ზურაბ ღიმიტრის ძეს — ახმეტის ხე-ტყის კომბინატის დირექტორს.

### „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“

**მალრაძეს** შოთა გრიგოლის ძეს — თბილისის გრენილი ავეჯის კომბინატის მთავარ ეკონომისტს.

### „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

**დუნდუას** გივი იულონის ძეს — სამტრედიის ხის დამამუშავებელი კომბინატის ბრიგადირს.

**ვართანიანს** გიორგი შავარშის ძეს — თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის მეჩარხეს.

**თევდორაშვილს** ზაქარია გიორგის ძეს — თბილისის ავეჯის დეტალების კომბინატის მტვირთავს.

**მანუკიანს** რუბენ ხინკოს ძეს — ახალდაბის ავეჯის ფაბრიკის ამწყობ მუშაკს.

**მოგელაძეს** მედეა ნიკოლოზის ასულს — ბათუმის ხის დამამუშავებელი კომბინატის მომპირკეთებელს.


**საძაგლიშვილს** ოთარ ზაქარიას ძეს — თბილისის საწარმოო-საავეჯო გაერთიანება „განთიადის“ დირექტორის მოადგილეს ეკონომიკურ საკითხებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 4 დეკემბერი.





საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**427** ამხ. ბ. მ. პაპიტაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში დამსახურებისათვის, მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი ამხ. გურამ მიხეილის ძე პაპიტაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 10 დეკემბერი.

№ 495—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**428** ამხ. ნ. ვ. ლუხუტაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი ამხ. ნოდარ ვარლამის ძე ლუხუტაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 12 დეკემბერი.

№ 501—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**429** ამხ. რ. ტ. ვახტანგოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კულტურის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ნისტროს კადრებისა და სასწავლებლების სამმართველოს უფროსი აშხ. რაზბერტ ტიგრანის ძე ვახტანგოვი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 12 დეკემბერი.

№ 502—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 430 აშხ. ა. ა. გვირიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რესპუბლიკური გამოთვლითი ცენტრის განყოფილების გამგე აშხ. ალექსანდრა ანტონის ასული ბერაია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 12 დეკემბერი.

№ 503—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 431 აშხ. ი. ს. კაკულიასათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის, ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორს აშხ. იური სიმონის ძე კაკულიას მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 12 დეკემბერი.

№ 504—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება  
 432 ამხ. მ. ს. გაგუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
 პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სისტემაში ხანგრძლივი ნა-  
 ყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქარ-  
 თველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რესპუბლიკური  
 გამოთვლითი ცენტრის დირექტორი ამხ. მალხაზ ლიშინის ძე გაგუა დაჯილდო-  
 დეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 12 დეკემბერი.

№ 505—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება  
 433 ამხ. ნ. ვ. წიკლაურიხათვის „საქართველოს სსრ სოფლის მე-  
 ურეოების დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მი-  
 ნიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, გეგმები-  
 სა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისა და რაი-  
 ონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის ასპინძის რაი-  
 ონის სოფელ იდუმალის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მწველავს  
 ამხ. ნინო ვასილის ასულ წიკლაურს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს  
 სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.


საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 12 დეკემბერი.

№ 506—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება  
 434 ამხ. თ. მ. გარსევანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
 პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მანქანათმშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის  
 მცირე სიმძლავრის ელექტრული მანქანების ტექნოლოგიის საპროექტო-სა-  
 კონსტრუქტორო საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ელექტრო-



ზეინკალი ამხ. თენგიზ მიხეილის ძე გარსევანიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 12 დეკემბერი.

№ 507—XI

საპარტვილო სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**435 რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის დარგის საწარმოთა მუშაკებისათვის საპარტვილო სსრ საპატიო წოდებათა მიწივეების შესახებ**

მანქანათმშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის დარგის საწარმოთა მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“**

**ბოკერია**ს ბიძინა ნიკოლოზის ძეს — თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ ტექნოლოგიის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს დირექტორს.

**გზირიშვილ**ს გურამ ვასილის ძეს — თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ გენერალურ დირექტორს.

**გოდერძიშვილ**ს ვახტანგ გერასიმეს ძეს — ჩარხმშენებლობის საპროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს.

**გოშხეთელიან**ს რევაზ ვიქტორის ძეს — ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის მთავარ ეკონომისტს.

**კარაბეგოვ**ს მიხეილ ალექსანდრეს ძეს — თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ ანალიზური ტექნიკის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს.

**მაღალაშვილ**ს ზურაბ კონსტანტინეს ძეს — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვის“ თბილისის მართული და გამომთვლელი მანქანების ექსპერიმენტული ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილეს.

**ნიკოლეიშვილ**ს გიორგი ფედოტის ძეს — საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის ინჟინერ-ინსპექტორს.

**სიმონიშვილ**ს ლერი შალვას ძეს — თბილისის ინსტრუმენტების ქარხნის განყოფილების უფროსს.

**შლემენჯონს** აბრამ პეტრეს ძეს — სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მინისტროს თბილისის სასურსათო მანქანათმშენებლობის სათავო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსის მოადგილეს.

**ჩივაძეს** ზურაბ დავითის ძეს — თბილისის საწარმოო გავრთიანება „ელმავალმშენებლის“ გენერალურ დირექტორს.

**ცინცაძეს** სევერიან ამბროსის ძეს — ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემების სამინისტროს რუსთავის მრეწველობის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის განყოფილების გამგეს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“**

